ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 16 ნოემბერი, 2018 №272 (7817) ფასი: 60 თეთრი

აფეთქება ფონიჭალაში

გვ.7

ნგრევას 30 წლის დედისა და მისი 1 წლის შვილის სიცოცხლე შეეწირა

„ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ სალომე ზურაბიშვილს არჩევნები წააგებინონ“

გვ.2

გია ხუხაშვილი: „ქართული ოცნების“ ქმედებებზე კომენტარის გაკეთება უკვე ძალიან ძნელია“

გვ.3

დავით მაყიშვილი: „ბიძინა ივანიშვილმა რუსეთის დავალებით ქართველ სამხედროებს ომი გამოგვიცხადა“

გედევან ფოფხაძე: „სამოქალაქო ომთან დაკავშირებულ განცხადებას არ ვნანობ“

გვ.3

„ვაშაძე თუ გახდება პრეზიდენტი, ის იქნება ტროის ცხენი, რომლის მუცლიდანაც გადმოცვივდებიან სააკაშვილი, მერაბიშვილი, ახალაია“

მამუკა გამყრელიძე: „ივანიშვილმა თავი სასწორზე დადო“

გვ.5

გვ.4

გია ბარამიძე: „ჩვენი ამოცანა კოალიციური ხელისუფლების შექმნაა“

„ამ არჩევნების მოგების შემდეგ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების საკითხი ბუნებრივად დადგება“

სამართალი გვ.7

ლადო გრიგალაშვილს ანა ნაცვლიშვილის მკვლელობისთვის უვადო პატიმრობა მიესაჯა

თვითმკვლელობა თუ მკვლელობა

14 წლის მათე ჯანჯღავას ოჯახი მოზარდის დაღუპვის მიზეზის დადგენას ითხოვს

პირს, რომელმაც ქალს მუქარით ინტიმური ფოტოები გააგზავნინა, სასამართლომ 4 წლით პატიმრობა მიუსაჯა

ეკონომიკა გვ.6

ოქტომბერში საარსებო მინიმუმი, გასულ წელთან შედარებით, 20 თეთრით შემცირდა

„ლაღიძის წყლების“ ოჯახისთვის გადაცემის საკითხი მერიაში ისევ გაურკვეველია

2018 წლის მონაცემებით, ყველაზე მეტი ქონება „საქართველოს ბანკმა“ დაისაკუთრა

ISSN 1987-9385

5 „სალომე ზურაბიშვილი ბიძინა ივანიშვილს უნდა გაემიჯნოს“

2 მაშველებმა ქინავალის წყალსაცავში ჩავარდნილი მამაკაცის ცხედარი იპოვეს

6 საქართველოში სამედიცინო მიზნით ჩამოსულ უცხოელთა რაოდენობა 30%-ით გაიზარდა

2 „მხოლოდ ტურიზმი ვერ გვიშველის“

„ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ სალომე ზურაბიშვილს არჩევნები წააგებინონ“

გია ხუხაშვილი: „ქართული ოცნების“ ქმედებებზე კომენტარის გაკეთება უკვე ძალიან ძნელია“

შორენა მარსაგიშვილი

„ქართული ოცნების“ ახალმა იდეამ – სალომე ზურაბიშვილის ბილბორდებზე მმართველი პარტიის ლიდერების ფოტოების გამოსახვამ – საზოგადოება ხუმრობის ხასიათზე დააყენა. სალაპარაკო და გასართობი მიეცათ ხელისუფლების ოპონენტებსაც. მთელი ნაცმოძრაობა იმაზე ღადაობს, სალომეს მხარდამჭერ ბილბორდზე ირაკლი კობახიძე გამოისახაო.

ამ გასაოცარი სიახლით ექსპერტი გია ხუხაშვილიც გაოგნებულია. მისი თქმით, „ქართული ოცნება“ უკვე აფექტის მდგომარეობაშია და მას ხალხი დასცინის.

რა ეჭვებს აჩენს „ოცნება“ ასეთი გაუაზრებელი მოქმედებებით, რატომ დაინიშნა საპრეზიდენტო არჩევნები შუა კვირაში, გველოდება თუ არა რევოლუცია, რატომ მომრავლდნენ მესამე ძალის შექმნის მსურველები? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ **გია ხუხაშვილი** ესაუბრება.

– სალომე ზურაბიშვილის მხარდამჭერ ბილბორდებზე „ოცნების“ სხვადასხვა ლიდერები გამოისახნენ. ამ სიახლემ ყველა გააოგნა. თქვენ რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?

– „ქართული ოცნების“ ქმედებებზე კომენტარის გაკეთება უკვე ძალიან ძნელია. ამ პარტიაში ძირითადად ანტიკამპანიით არიან დაკავებული. თავიანთი ქმედებებით „ქართული ოცნება“ პოლიტიკურ ოპონენტებს უქმნის იმის საფუძველს, რომ მათ წინააღმდეგ საბრძოლველად იუმორი იქნეს გამოყენებული.

იუმორი ოპონენტთან საბრძოლველად კომპრომატზე ეფექტურია იარაღია. რატომ იქცევიან ასე, ამაზე ვერაფერს გეტყვით.

სალომე ზურაბიშვილის მხარდამჭერ პლაკატზე ბიძინა ივანიშვილის ან სხვა რომელიმე ლიდერის გამოსახვა წმინდა მარკეტინგული სიბრიყვეა. როცა პლაკატზე ქალის სახელი წერია და გამოსახულია მამაკაცი, ეს ადამიანში ძალიან ნეგატიურ ასოციაციებს იწვევს.

ვიღაცას ჰქონდა სურვილი, მომხდარიყო ავტორიტეტის ექსპლუატირება. ეს ასეა თუ არა, ვერ გეტყვით, მაგრამ ასეთი ამოცანა სხვანაირად სრულდება. როდესაც ასეთი ამოცანაა შესასრულებელი, მაშინ სურათი წყვილში კეთდება. ეს კონტექსტში კიდევ რაღაცნაირად ჯდება.

ბიძინა ივანიშვილი კიდევ გასაგებია, მაგრამ რატომ დასვეს სალომეს პლაკატზე ირაკლი კობახიძე, გაუგებარია. რატომ ჰგონია ვინმეს, რომ ირაკლი კობახიძე ავტორიტეტია და სალომე ზურაბიშვილს მისი ჩახუჭჭეჭებული თმები წაადგება, ეს ვერ გავიგე.

„ოცნების“ ქმედებებზე უკვე კომენტარების გაკეთებაც კი მიჭირს, რაციონალური ლოგიკით ამის ახსნა უკვე შეუძლებელია.

– ისეთ ნაბიჯებს დგამენ, საზოგადოებას უჩნდება ეჭვი, რომ ისინი ნაციონალებზე მუშაობენ. ამაზე რას იტყვით?

– ჩვენ თუ გვინდა, შეთქმულების თეორია განვავითაროთ, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ შკლიაროვმა „ოცნების“ შტაბში ისეთი ვიღაცის ჩანერგვა მოახერხა, რომელიც ნაბიჯ-ნაბიჯ უფსკრულისკენ უბიძგებს სალომე ზურაბიშვილის საარჩევნო შტაბს.

ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ სალომე ზურაბიშვილს არჩევნები წააგებინონ. ყოველდღე ახალ-ახალ სიურპრიზებს გვთავაზობენ. „ოცნება“ ახლა პოლიტიკური აფექტის მდგომარეობაში იმყოფება. ასეთ დროს კი ადამიანით მანიპულირება არის ძალიან ადვილი.

– და ოპონენტებიც მანიპულირებენ „ოცნებით“?

– მე არ ვამტკიცებ, რომ ეს ასეა, მაგრამ მათმა ქმედებებმა ისეთი სახე მიიღო, რომ შეთქმულების თეორიასაც გაუჩნდა არსებობის უფლება.

– მეორე მხარეც რომ მთლად ვერ არის დალაგებულად, ამაზე რას ფიქრობთ, ერომანეთს ეჯიბრებიან სისულელეებში თუ რა ხდება?

– ეს გასაკვირი არაა. ახლა ჩვენ არ ვიმყოფებით საარჩევნო პროცესში, ეს არის ანტიარჩევნები. ანტიარჩევნების პროცესში არც ერთი მხარე არ გვეუბნება, რომ მე ვარ კარგი. ორივე მხარე გვეუბნება, რომ ჩემი მოწინააღმდეგეა ცუდი. გვიბიძგებენ იმისკენ, რომ ანტიარჩევანი გავაკეთოთ, რაც ცალკე უბედურება და პრობლემაა.

„ოცნებაც“ და მისი ოპონენტებიც ცდილობენ, რომ ქართველი საზოგადოება მასობრივი ფსიქოზის მდგომარეობიდან მასობრივ ისტერიაში გადაიყვანონ. მათ სურთ, ისტერიული არჩევანი გაგვაკეთებინონ.

ასეთი რამეები ძალიან ცუდად მთავრდება და ამით სახელმწიფო ზიანდება პირველ რიგში. ისტერიული მდგომარეობიდან საზოგადოების გამოსვლის მიზეზი ძალიან მტკივნეულია. ეს პროცესი გამომწვევი მიზეზის ანუ იმ პოლიტიკური ერთეულების განადგურებით სრულდება, ვინც ხალხი ამ მდგომარეობამდე მიიყვანა.

ნაციონალებიც ბევრ შეცდომას უშვებენ, მაგრამ იმდენს არა, რამდენსაც „ქართული ოცნება“.

– ამ 6 წლის განმავლობაში რით ვერ შეიძინეს გამოცდილება და რით ვერ ი შოვეს ნორმალური პიარი?

– არც უცდიათ არაფრის გაკეთება. უნდათ, ყველაფერი ისე გაკეთონ, როგორც ამას ნაციონალები აკეთებდნენ. ამის გადმოღების უნარები კი მათ არა აქვთ.

– ამის უნარები თუ არა აქვთ, რატომ არ დაანებებენ მათი მეთოდების გადმოღებას თავს?

– მათ გაუჩნდათ იმის ილუზია, რომ ურჩხულს მართავდნენ. არადა, არ აქვთ ამ ურჩხულის მართვის უნარი.

„ქართული ოცნების“ ქმედებები, იცით, რას ჰგავს? გუშინდელი დედიკოს ბიჭი ბირჟაზე გასვლასა და ძველბიჭობას რომ გადაწყვეტს. დაახლოებით ასე იქცევა მმართველი პარტია.

გასაგებია, რომ დედიკოს ბიჭი ძველბიჭობას ვერ მოახერხებს და საბოლოო ჯამში ყურებში წაუბარტყუნებენ. არ არიან ცუდები და რატომ უნდათ ამ ცუდი ბიჭის თამაში, ვერ გავიგე.

– თქვენ ახსენეთ, რომ ნაციონალების ქმედებების გამეორებას ცდილობენ. ამიტომ დანიშნეს არჩევნები ოთხშაბათ დღეს, 28 ნოემბერს?

– არ ვიცი, ამაზე კომენტარს ვერ გავაკეთებ. ამის შესახებ, უმჯობესია, მიხეილ ცაგარელს ჰკითხოთ. ეტყობა, ის „ოცნების“ პოლიტსაბჭოშია და ვარსკვლავების განლაგების მიხედვით დაანიშვნინა არჩევნების თარიღი.

– მისი გათვლებით, არჩევნები დედალ თევზს უნდა მოეგო.

– ვერ გეტყვით, ჯობია, ისევ მას ჰკითხოთ.

– ამაზე საუბარი რადგან არ გინდათ, მაშინ მესამე ძალის შექმნაზე გკითხავთ. გასულ კვირას თქვენ დააანონსეთ ახალი ძალის შექმნა. ამასთან დაკავშირებით რას გვეტყვით?

– მესამე პოლიტიკური ძალის შექმნა ობიექტური აუცილებლობაა. ამაზე უკვე დიდი ხანია, რაც საზოგადოებაში მოთხოვნა არსებობს. იძულებული ვარ, ამ ძალის შექმნაში მონაწილეობა მივიღო. სხვა გზას, უბრალოდ, ვერ ვხედავ.

მაქვს რაღაც მოსაზრებები, მაგრამ ახლა ამაზე საუბარი ცოტა ნაადრევად მეჩვენება.

– გასულ კვირას კიდევ რამდენიმე პარტიამ თუ პერსონამ დააანონსა მესამე ძალის შექმნა.

– ყველა ხვდება, რომ მესამე ძალის შექმნა არის აუცილებელი და ღმერთმა ყველას ხელი მოუმართოს.

– ჰო, მაგრამ ამდენ მესამე ძალაში რომელი იქნება მართლა მესამე?

– შეიქმნას და მე ვიქნები მეშვიდე ძალა. რა მნიშვნელობა აქვს ნუმერაციას. აქ საუბარია იმაზე, რომ საზოგადოებაში ახალი ძალის შექმნაზეა მოთხოვნილება. ვისაც შეუძლია ძლიერი ახალი ძალის შექმნა იმისთვის, რომ ორპოლუსიანი შულერული თამაში დავასრულოთ, ყველამ უნდა გადადგას ნაბიჯი.

ვინ იქნება წარმატებული, ვინ წარუმატებელი ამ გზაზე, ამას დრო და პროცესი აჩვენებს.

– ისევ არჩევნების თემას დავუბრუნდეთ. თქვენი აზრით, 28 ნოემბერიც ისევე რბილად დასრულდება, როგორც 28 ოქტომბრის არჩევნები?

– სიმართლე რომ გითხრათ, ამ პროცესებს დრამატულად ვერ აღვიქვამ. ამ ყველაფერმა ტრაგიკომიკური სახე შეიძინა. საზოგადოებაში რევოლუციური მუხტი არ არსებობს. ასე რომ, მოვლენების დრამატულად განვითარებას არ ველოდები. რა თქმა უნდა, იქნება რაღაც შარიშური, მაგრამ არა უმეტეს ამისა.

– ახალი წლისთვის ალბათ ყველაფერი უკვე დასრულებული იქნება.

– იმედი ვიქონიოთ, რომ ახალ წელს სახლებში შევხვდებით. დიდი იმედი მაქვს, რომ ზაზა სარალიძე და მალხაზ მაჩალიკაშვილიც სახლებში შეხვდებიან ახალ წელს.

მაშველებმა ჟინვალის წყალსაცავში ჩავარდნილი მამაკაცის ცხედარი იპოვეს

ჟინვალის წყალსაცავში ჩავარდნილი მამაკაცის ცხედარი იპოვეს.

ცხედრის ამოყვანამდე საჭირო გახდა წყლის ქვეშ დამატებითი სამუშაოების ჩატარება. ადგილზე იმყოფებოდა 5 სამაშველო ჯგუფი, ასევე სამუშაოებში ჩართული იყვნენ მყვინთავები.

შეგახსენებთ, რომ 14 ნოემბერს ჟინვალის წყალსაცავში სატვირთო ავტომობილი და მისი მძღოლი ჩავარდა. სამუშაოების შესრულებისას ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად გზიდან გადავიდა და ჟინვალჰესის წყალსაცავში ჩავარდა ბეტონმზიდი.

გამოძიების პირველადი ინფორმაციით, ჟინვალი-თვალივის საავტომობილო გზაზე სამუშაოებს ერთ-ერთი კერძო კომპანია ასრულებს, სადაც დასაქმებული იყო სპეციალური სატრანსპორტო საშუალების მძღოლი ი.ჟ.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

„მხოლოდ ტურიზმი ვერ გვიშველის“

– მხოლოდ ტურიზმი ვერ გვიშველის, მაგრამ, ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დღემდე პრაქტიკულად ტურიზმმა გადაგვარჩინა, – განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი ქობულიამ პირველი არხის გადაცემაში „საპრეზიდენტო არჩევნები 2018“.

– საქართველოში, ვაჭრობაში, წელიწადში დაახლოებით 3,5 მილიარდი დოლარის დეფიციტი გვაქვს. ანუ, შემოტანა და გატანა რომ დავითვალოთ, 3,5 მილიარდი დოლარით მეტი შემოგვაქვს, ვიდრე გაგვაქვს. ეს 3,5 მილიარდი დოლარი ციდან ვერ ჩამოვარდება და ვიღაცამ საიდანღაც უნდა მოიტანოს. ამ 3,5 მილიარდი დოლარიდან ორი მილიარდი დღემდე სწორედ ტურიზმმა დაგვიფარა. როცა ტურისტი შემოდის, ფულს ლარში ხარჯავს, მაგრამ ლარის მისაღებად დოლარს, ევროს და სხვა ვალუტებს ახურდავებს. ქვეყანაში და ბანკების ანგარიშებზე დოლარი, ევრო და სხვა ვალუტები ზუსტად მაგ მომენტში შემოდის, – განაცხადა ქობულიამ.

როგორც ეკონომიკის მინისტრმა აღნიშნა, მთავრობის სტრატეგია იმას გულისხმობს, რომ ტურიზმის ზრდა უნდა გაგრძელდეს.

– ჩვენ გვაქვს ტურისტების რაოდენობა, რომელიც ქვეყნის მოსახლეობას ორჯერ და უფრო მეტად აღემატება. პრაქტიკულად, მსოფლიო მასშტაბით, იშვიათი ქვეყანა ვართ, სადაც ტურისტების რაოდენობამ ქვეყნის მოსახლეობას ორჯერ და მეტად გადააჭარბა. ასეთი მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაა. არსებობს ქვეყნები, რომლებიც თავიანთი ისტორიის მანძილზე ტურიზმით გამოირჩეოდნენ, მაგალითად, საფრანგეთი და იტალია, მაგრამ იქ ტურისტების რაოდენობა მოსახლეობის რაოდენობაზე ნაკლებია, – განაცხადა ქობულიამ.

მისივე თქმით, როდესაც ტურისტების რაოდენობა მოსახლეობის რაოდენობას ბევრად სცილდება, ამ ინდუსტრიაში ჩართული ადამიანების რიცხვი იზრდება. ამის პარალელურად იმის რისკიც მატულობს, რომ ქვეყანა ამდენ ტურისტს ვეღარ მოემსახუროს.

BFM.GE

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

დავით მაყიშვილი: „ბიძინა ივანიშვილმა რუსეთის დავალებით ქართველ სამხედროებს ომი გამოგვიცხადა“

შორენა მარსაგიშვილი

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორმა შესაძლოა აგვისტოს ომის მონაწილე ქართველი სამხედროების დაკავებაც მოითხოვოს. ეს სკანდალური განცხადება საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა „იმედის“ ეთერში გააკეთა.

– ჰააგაში ერთი არის სისხლის სამართლის სასამართლო, სადაც გამოძიება მიმდინარეობს და ქალბატონი ფატუ ბენსუდა ყველას გვახსოვს, აქ იყო. ეს არის ის სასამართლო, სადაც ის არის პროკურორი და აქ საქართველო, როგორც სახელმწიფო, არ არის და ვერასოდეს იქნება მხარე. ქალბატონ ფატუ ბენსუდას მიჰყავს გამოძიება დანაშაულებზე, რომლებიც მოხდა აგვისტოს ომის დროს და, თუკი ის მივა დასკვნამდე, რომ გარკვეულ ეპიზოდებში მართლაც არის დანაშაული მომხდარი, მან შეიძლება კონკრეტული ადამიანების დაკავების მოთხოვნით მიმართოს იმავე ჰაგის სისხლის სამართლის სასამართლოს. აქ შეიძლება დადგეს ინდივიდუალური პასუხისმგებლობა, განურჩევლად მოქალაქეობისა და ეთნიკური წარმოშობისა, – განაცხადა საქართველოს იუსტიციის მინისტრმა.

წულუკიანის ამ განცხადებას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. აგვისტოს ომის მონაწილე ქართველი სამხედროები მინისტრს ღალატში ადანაშაულებენ. თადარიგის პოლკოვნიკი დავით მაყიშვილი იუსტიციის მინისტრს საგანგებოდ მიმართავს და აცხადებს, რომ თუ მართლა იქნება ქართველი სამხედროების დაკავების მოთხოვნა, ეს იქნება საქართველოს გასამართლება.

– მივმართავ ქალბატონ თეა წულუკიანს! თქვენ მიერ 14 ნოემბერს გაკეთებული განცხადება აშკარად მიუთითებს იმას, რომ თქვენი გამყიდველი და მოღალატეობრივი პოლიტიკით ვერ შეძელით და ვერ დააჩოქეთ ქართული ჯარი და ზოგადად ქართველი ჯარისკაცი, რასაც პირადად თქვენ მთავრობაში მოსვლის დღიდან აკეთებდით, თქვენი განკარგულებითა და ხელმოწერების საფუძველზე იქნა დაკავებული ბევრი სამხედრო, რომლებიც წლების განმავლობაში იხდიდნენ სასჯელს აბსურდული ბრალდებებით.

თქვენ უკვე ექვს წელზე მეტია ცდილობთ, დაანგრიოთ და სახელი შეულახოთ ქართული ჯარის ინსტიტუტს, უბრალოდ, XXI საუკუნეში ვერ გაბედეთ სტალინის რეჟიმის მსგავსად ჩვენი დახვრეტა და განადგურება, როგორც ეს კომუნისტურმა რეჟიმმა კატინში პოლონელ ოფიცრებს გაუკეთა. თუმცა თქვენ მაინც შეძელით რამდენიმე ოფიცრის სიცოცხლის ხელყოფა და ახლა ცოცხლად გადარჩენილებს გასამართლებით გვემუქრებით.

თქვენ კიდევ ერთხელ გვიღალატეთ და მიგვატოვეთ პირისპირ მტერთან ბრძოლაში.

ჩვენ არ გვეშინია, წარვდგებით ჰაგის სასამართლოში, რადგან ჩვენ, 2008 წლის ომის ვეტერანებს, თქვენგან განსხვავებით, ბევრად კარგად გვესმის, რომ ეს არის ჩვენი ქვეყნის გასამართლება და არა ინდივიდუალურად რომელიმე ჩვენგანისა, რადგან ჩვენ მაშინ იმ ბრძოლაში სახელმწიფოს წარმოვადგენდით და ვიცავდით მის სუვერენიტეტს, რომელიც თქვენ არაერთხელ გაყიდეთ და დათმეთ.

„სიცოცხლე სიკვდილით არ მთავრდება, ერთი გაბრაზებული თაობა თუ დამხვრეტს, მეორე მკვდრეთით აღმადგენს!“ – წერს მაყიშვილი ფეისბუქის საკუთარ გვერდზე.

„ახალ თაობასთან“ საუბარში მაყიშვილი აკონკრეტებს, თუ რატომ სდებს წულუკიანს ბრალად ჯარის წინააღმდეგ ბრძოლას.

– 2012 წლის არჩევნების შემდეგ პირველი იერიში და დარტყმა ახალმა მთავრობამ შეიარაღებულ ძალებზე მიიტანა, პირადად თეა წულუკიანის განკარგულებით დაკავებულ იქნენ მაშინდელი გენერალური შტაბის უფროსი, მეოთხე და მეორე ბრიგადის მეთაურები, სახმელეთო ჯარების მთავარი სერჟანტი და ათეულობით რიგითი და კაპრალი.

მაშინდელი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ღიად და დაუფარავად გვდებდა ბრალად ომის დაწყებას და ერთი ერთში იმეორებდა იმ ფრაზებს, რაშიც მანამდე რუსეთის ოკუპანტი მთავრობა ბრალს გვდებდა 2008 წლის ომთან დაკავშირებით.

ჯერ კიდევ 2012 წელს თეა წულუკიანი მოგვევლინა ქართველი ჯარისკაცების სადამსჯელო ოპერაციის ხელმძღვანელად და სავსებით რეალურია, რომ ის პირადად ბიძინა ივანიშვილის დავალებას ასრულებდა – გაენადგურებინა ისეთი ძლიერი ინსტიტუტი, როგორიც შეიარაღებული ძალები იყო. ვის დავალებისა და ნების შესრულებას შეუდგა ივანიშვილი მოსვლის დღიდან, ეს უკვე საიდუმლოებას აღარ წარმოადგენს და ყველასათვის ცხადია, ეს იყო რუსეთის პირდაპირი დაკვეთა.

ამას მოჰყვა სამხედროების გახმაურებული სასამართლო პროცესები, სადაც ბევრი მოქმედი სამხედრო იქნა დაპატიმრებული აბსურდული ბრალდებებით. ბევრი მათგანი იძულებით ემიგრაციაში წავიდა და ბევრი მათგანი დღესაც დაპატიმრებულია, ხოლო ვისგანაც ვერ მიიღეს სასურველი ჩვენებები, ისინი გაურკვეველ და საეჭვო ვითარებაში დაიღუპნენ, – აღნიშნავს „ახალ თაობასთან“ საუბარში თადარიგის პოლკოვნიკი მაყიშვილი.

ის ჩვენთან იმაზეც საუბრობს, თუ რატომ გადაწყვიტეს სამხედროებმა სალომე ზურაბიშვილის საწინააღმდეგო საჯარო განცხადებების გაკეთება. ის წულუკიანის გააქტიურებას სწორედ ამ საჯარო განცხადებებს უკავშირებს.

მაყიშვილის განმარტება ასეთია:

– ფაქტია, რომ ქართველი ჯარისკაცი ვერასდროს შეეგუება იმ განცხადებას, სადაც მომავალი საპრეზიდენტო კანდიდატი პირდაპირ გვადანაშაულებს ომის დაწყებაში. ბოლო დროს ყოფილი სამხედროების საჯარო განცხადებებს „არა სალომე ზურაბიშვილს“ დიდი პანიკა და არეულობა მოჰყვა სახელისუფლებო ძალებში. აი, ზუსტადაც ამ დროს ისევ გააქტიურდა თეა წულუკიანი და საქართველოს სახელმწიფოსა და შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ ჩადებული ნელი მოქმედების ნაღმი ჰაგის სასამართლოს სახით ისევ მოიყვანა საბრძოლო მდგომარეობაში.

ისინი მიხვდნენ, რომ ბოლომდე ვერ გატეხეს და ვერ დააკნინეს შეიარაღებული ძალები. ის თადარიგის ოფიცრები და რიგითები, რომლებიც ბოლო პერიოდში დაუპირისპირდნენ სალომე ზურაბიშვილს, სერიოზული ძალა აღმოჩნდა და ქვეყნის მმართველობას სხვა გამოსავალი არ დარჩა მათ დასაშინებლად, რასაც თეა წულუკიანის მხრიდან 14 ნოემბერს გაკეთებული განცხადება მოჰყვა.

„ახალ თაობასთან“ საუბარში მაყიშვილი ამბობს, რომ ქართველ სამხედროებზე ნადირობა უკვე დაწყებულია.

– მანამდე არაერთ ფაქტთან გვქონდა საქმე, თუნდაც ბოლო და გახმაურებული ფაქტი, როდესაც საქართველომ რუსეთის სპეცსამსახურებს გადასცა უკრაინაში მებრძოლი მოხალისეების მონაცემები. ეს ფაქტია და, დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ მთავრობა ყველა საშუალებით ებრძოდა შეიარაღებულ ძალებს, – აღნიშნავს ქართველი სამხედრო.

სამხედროების საჯარო განცხადებებზე საქართველოს ხელისუფლებას საკმაოდ მწვავე რეაქცია ჰქონდა. საზოგადოების ნაწილიც მიიჩნევს, რომ სამხედროებს პოლიტიკური განცხადებების გაკეთების უფლება არ აქვთ.

ამაზე თადარიგის პოლკოვნიკს ასეთი პასუხი აქვს:

– ირაკლი სესიაშვილი და უმრავლესობის წევრები გმობდნენ თადარიგის სამხედროების ბოლოდროინდელ განცხადებებს და თავიანთ ბოდვას ამყარებენ იმ არგუმენტით, რომ სამხედროს არ აქვს პოლიტიკური განცხადების გაკეთების უფლება.

ეს სრული აბსურდია და მათ პანიკურ მდგომარეობას რეალურად ასახავს.

გენერალი ჭანკოტაძე არის თადარიგის სამხედრო. მას წესდებით აქვს უფლება, ატაროს ფორმა და გენერლის სამხრეები, სადაც უნდა და როგორც მას სურს. მას არ გააჩნია თმენის ვალდებულება, როგორც ყველა იმ თადარიგის სამხედროს, ვინც ამ კამპანიას შეუერთდა. ისინი ისეთივე მოქალაქეები არიან, როგორც სხვა დანარჩენი და ორმაგად შესტკივათ გული სამშობლოზე, რადგან მათ არაერთხელ ჩახედეს სამშობლოსთვის სიკვდილს თვალებში.

ამიტომაც მათ გააჩნიათ სრული უფლება როგორც პოლიტიკური განცხადებების გაკეთებისა, ასევე საჯაროდ თავიანთი აზრის დაფიქსირებისა.

დავით მაყიშვილი კატეგორიულად უარყოფს იმას, რომ სამხედროები ვინმეს გრიგოლ ვაშაძის მხარდაჭერისკენ მოუწოდებენ.

– ვაშაძის მხარდაჭერა ნებისმიერი ადამიანის პირადი აზრია და მათ აქვთ არჩევანის უფლება. არც ერთ თადარიგის სამხედროს არ მოუწოდებია მოსახლეობისთვის, ხმა მიეცათ გრიგოლ ვაშაძისათვის, მთავარი მესიჯი ამ აურაცხელი განცხადებისა მდგომარეობდა შემდეგში – „ჩვენ ომი არ დაგვიწყია და არ მივცემთ ხმას იმ კანდიდატს, რომელიც ჩვენ ამ ომის დაწყებაში გვადანაშაულებს“.

ის, რომ დღევანდელი ხელისუფლების კანდიდატის მოსაზრება ომთან დაკავშირებით არასდროს დაემთხვევა სამხედროების მოსაზრებას, ეს ფაქტია და ყველასთვის ცხადია, რომ ხელისუფლება შეეცადა, კიდევ ერთხელ შეესრულებინა რუსეთის დავალება ზურაბიშვილის სახით.

ესეც უდავოა, ამიტომაც მოვუწოდებ მთავრობას, რომ ჩვენში, ვეტერანებში კი არ ეძებოს დამნაშავეები, არამედ – თავის სახელისუფლებო შტოებში, ვისი იდეაც იყო მოღალატეობრივი პოლიტიკის გატარება და სალომე ზურაბიშვილის მხარდაჭერის ინიციატივა, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში მაყიშვილმა.

გედევან ფოფხაძე: „სამოქალაქო ომთან დაკავშირებულ განცხადებას არ ვნანობ“

„ვაშაძე თუ გახდება პრეზიდენტი, ის იქნება ტროის ცხენი, რომლის მუცლიდანაც გადმოცვივდებიან სააკაშვილი, მერაბიშვილი, ახალაია“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ წევრი, საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატი **გედევან ფოფხაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო გედევან, არჩევნების მეორე ტურის წინაც ვითარება დაძაბულია. შეიძლება ითქვას, რომ ასეთი დაძაბული ფონი არც ერთ არჩევნებს არ ახლდა. თქვენ რით ხსნით ამას?

– 2012 წელსაც საკმაოდ დაძაბული იყო გარემო.

– მაშინ სულ სხვა რეალობა იყო.

– ბევრი ფაქტორითა და მიზეზით აიხსნება ეს რეალობა. თავიდან ამ არჩევნებს ცოტა ისე მივუდექით. ჩვენი პარტიის კანდიდატი არ დავაყენეთ და დამოუკიდებელ კანდიდატს დავუჭირეთ მხარი. ამ გადაწყვეტილების მიღებას თავის მხრივ დროც დასჭირდა. ოპოზიციამ სამი თვე მოღალატეები გვეძახა, რადგან მხარი სალომე ზურაბიშვილს დავუჭირეთ.

ამან საზოგადოებაში დაძაბულობა გამოიწვია. არავის უნდა სამოქალაქო დაპირისპირება, არავის უნდა, სააკაშვილი უცებ თეთრ ცხენზე ამხედრებული შემოვიდეს, მისი სოციალური რეაბილიტაცია მოხდეს. არავის უნდა, რევანშის მოწყობა ცადოს და ქვეყანა არიოს.

სოციალურად მოტივირებულ ამომრჩეველს პენსიის მომატება უნდა, ქვეყნის თავდაყირა დაყენება კი არა. ხომ ჰქონდათ 400-ლარიანი პენსიის დაპირება, ეს ამომრჩეველი ამ 400 ლარს ითხოვს და არა ქვეყნის არევასა და სააკაშვილის დიდებით შემოსვლას.

ჩვენ ამომრჩეველს ვეუბნებით, რომ 20 ლარით მოგიმატებთ პენსიას, ისინი ეუბნებიან, სააკაშვილი რომ მოვა, 400 ლარამდე მოგიმატებს, არადა, სააკაშვილი ვერ მოვა. შესაბამისად, ამ ყველაფერმა ერთად დაძაბა ვითარება.

– ხომ არ ფიქრობთ, რომ ვითარების გამწვავებას ხელისუფლებამაც არაფერი დააკლო, თუ ხელი არ შეუწყო? თქვენ გააკეთეთ სამოქალაქო ომთან დაკავშირებით განცხადება. ამ განცხადებას ხომ არ ნანობთ?

– არა, არ ვნანობ. გეუბნებით, ისინი ამისთვის ყველაფერს აკეთებენ და მე განცხადებაც კი არ გავაკეთო, რომელიც პრევენციული ხასიათის იქნება?! არ ვთქვა, თუ რა საფრთხეების მატარებელია პოლიტიკურად მოტივირებული შეწყალება?! ეს განცხადება ემოციურ ტალღაზე არ გამიკეთებია.

– რა ინფორმაცია გქონდათ, როდესაც ამ განცხადებას აკეთებდით?

– განსაკუთრებული ინფორმაცია არ მქონია, მე დავეთანხმე ანა დოლიძის განცხადებას, თუ რამდენად არასწორია პოლიტიკური მოტივაციით ადამიანების შეწყალება. ეს იყო სწორი ანალიზი და მეც ასე ვფიქრობ, რაც ვთქვი კიდეც.

ხომ გასაგებია ყველასთვის, თუ რას ნიშნავს პრეზიდენტის მხრიდან პოლიტიკური მოტივაციით მიღებული გადაწყვეტილება შეწყალებასთან დაკავშირებით. თუ პრეზიდენტი თავის პოლიტიკურ მოკავშირეებს შეიწყალებს, ეს ხომ არის დაუსჯელობის წახალისება, იმ კონკრეტულ ადამიანებს კი, რომლებიც იმ წუთში გჭირდება, სამომავლო ინდულგენციას აძლევ.

– მიხეილ სააკაშვილს პრეზიდენტი ხომ ვერ შეიწყალებს? ის ჯერ მსჯავრდებული არ არის.

– არ არის საუბარი მხოლოდ მასზე, მერაბიშვილზე და ახალაიაზე, როგორც ყველა ამბობს. მაგალითად, შტაბში მყავს ვიღაც ყოფილი ზონდერი, რომელიც დაკავებული არც არის. მას ხომ ვაძლევ სამომავლო ინდულგენციას, მას ხომ ვეუბნები, რომ თუ ესენი პრობლემას შეგიქმნიან, მე აგერ ვარ და შეგიწყალებ! ვისაც გინდა, თავში ჩაარტყი, შენობებში შეიჭერი, მე გაძლევ ინდულგენციას. ამაზეა აქ საუბარი.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

გია ბარამიძე: „ჩვენი ამოცანა კოალიციური ხელისუფლების შექმნაა“

„ამ არჩევნების მოგების შემდეგ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების საკითხი ბუნებრივად დადგება“

იაგო ნაცვლიშვილი

ცესკოს გადაწყვეტილებით, საპრეზიდენტო არჩევნები შუა კვირაში, ოთხშაბათს გაიმართება, რასაც ოპოზიცია აპროტესტებს. რატომ ეწინააღმდეგებიან არჩევნების 28 ნოემბერს გამართვას, რას გეგმავენ, თუ არჩევნები გაყალბდება, აღიარებენ თუ არა შედეგს, თუ გაყალბების ფაქტები არ იქნება და პრეზიდენტის პოსტის მოპოვების შემთხვევაში დაიწყებენ თუ არა ბრძოლას ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნის თაობაზე? – ამ თემაზე „ახალი თაობა“ ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერ გია ბარამიძეს ესაუბრა:

გია ბარამიძე:

– ჩვენ გვქონდა წინასწარ ინფორმაცია, რომ თელავში „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა ამომრჩეველს უთხრეს, 28 ნოემბერს იქნება არჩევნებიო, ანუ წინასწარ იცოდნენ, რომ 28-ში იქნებოდა არჩევნები.

– რას ცვლის რეალურად, მაშინ როცა, ცესკოს გადაწყვეტილებით, ღამის 12 საათამდე ექნებათ ემიგრანტებს ხმის მიცემის შესაძლებლობა. ეს არ არის გარკვეული შეღავათი?

– გარკვეული შეღავათი არის, მაგრამ პრობლემა რომ არის, განსაკუთრებით ემიგრანტებისთვის, ნათელია, ასევე – საქართველოში მცხოვრები ადამიანებისთვისაც, იმიტომ, რომ ხალხი წინა დღეს ჩადის იქ, სადაც რეგისტრირებულებია და აქვს შესაძლებლობა, რომ კვირას ხმა მისცენ და მოასწრონ უკან წამოსვლა. როდესაც მხოლოდ ერთი დღეა უქმე, მაშინ ბევრად უფრო გართულებულია ვითარება. გართულებულია როგორც ემიგრანტებისთვის, ისე საქართველოში მცხოვრები ჩვენი მოქალაქეებისთვის.

ეს გაკეთებულია სპეციალურად, რათა ხალხს, ვინც „ქართული ოცნების“ კონტროლის გარეთ არის, შეუქმნან პრობლემა. ვისაც ისინი აკონტროლებენ, ვინც დააშინეს, მოისყიდეს ან თვლიან, რომ თავიანთი ამომრჩეველია, იმათ წაიყვანენ თავადვე. ეს მათ უხერხულობასა და პრობლემას არ შეუქმნის. ეს არის ამოცანა, რომ შეამცირონ იმ ხალხთა რიცხვი, ვინც მათი კონტროლიდან არიან გამოსული.

– რატომ იქცევით ხოლმე ხელისუფლებები ასე? თქვენი ხელისუფლების დროსაც გამართულა არჩევნები შუა კვირაში. ივანი შვილის კრიტიკული განცხადებაც ამოიღეს სოციალურ ქსელში, როცა 2013 წელს ის სააკაშვილს აკრიტიკებდა.

– დანიშნა, მაგრამ შემდეგ გადაიტანა.

– მაგრამ ჩატარებულა არჩევნები შუა კვირაში.

– მე ამის მემატიანე არ ვარ, მაგრამ, როგორც ირკვევა, არ ყოფილა. როდესაც ეს საკითხი დადგა, მოვიკითხეთ. ერთხელ დანიშნა სააკაშვილმა და პარტიებისა და არასამთავრობოების მოთხოვნის შემდეგ ისევ გადაიტანა კვირა დღეს. სხვა დროს არ ყოფილა. საქართველოში არჩევნები ყოველთვის კვირა დღეს იმართებოდა. ეს კითხვა ცოტა არაკორექტულია, იმიტომ რომ ჩვენი ხელისუფლება ასე არ მოქცეულა. რაც არ უნდა გააკრიტიკოთ სხვა საკითხებში, ამ საკითხში საყვედური ნამდვილად არ ეთქმის.

– 2013 წელზე თავს ვერ დავდებ, მაგრამ, როგორც მაქვს ინფორმაცია, ორჯერ გაიმართა შუა კვირაში. ინფორმაცია გამოაქვეყნა „რადიო თავისუფლებამ“, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მიუკერძოებელი მედიაა საქართველოში.

– არა. სააკაშვილმა მართლაც დანიშნა, მაგრამ შემდეგ გადაიტანა პარტიებისა და არასამთავრობოების მოთხოვნით.

– რას აპირებთ არჩევნებში დამარცხების შემთხვევაში? განვიხილოთ ის ვერსიაც, თუ ხელისუფლება წავა გაყალბების გზაზე.

– თქვენს შეკითხვაშივეა პასუხი. თუ ხელისუფლება წავა არჩევნების გაყალბებაზე, არა მგონია, ქართველი საზოგადოება ამას შეეგუოს და ცხვრებივით სახლში დარჩნენ და ასე შეეგუონ არჩევნების გაყალბებას. არავის აუკრძალავს მშვიდობიანი ფორმით პროტესტის გამოხატვა. „ქართული ოცნება“ ამით არის ახლა დაკავებული, რომ უბედურება მოხდება, დესტაბილიზაცია და ათასგვარ უპასუხისმგებლო განცხადებას აკეთებენ.

არანაირი სამოქალაქო ომი და დესტაბილიზაცია არ იქნება, მაგრამ, თუ გააყალბეს, სწორი იქნება, რომ ხალხი ქუჩაში გამოვიდეს.

– თუ ობიექტურად წააგებთ, აღიარებთ შედეგებს?

– თუ ყველაფერი კარგად იქნება... ასეთი დაშვებები ყოველთვის შეიძლება, მაგრამ 400.000 ხმით აქვს წაგებული არჩევნები ოპოზიციასთან. ეს ხმები როგორ უნდა აქაჩოს? ვერანაირად ვერ იგებს ხელისუფლება. გამოკითხვებშიც იყო ეს შედეგები, რომ ძალიან ბევრი ადამიანი გულგატეხილია. მათ არ სჯეროდათ ხელისუფლების შეცვლის რეალურობის, მაგრამ ახლა ეს დაინახეს და ისინიც დაემატებიან ოპოზიციის ხმებს.

ასევე დაშინებულმა ადამიანებმაც დაინახეს, რომ ბევრი არ შეუშინდა და კიდევ გაიზრდება ოპოზიციის ხმების რაოდენობა. პრაქტიკულად არანაირი შანსი არ არსებობს, რომ ხელისუფლებამ არჩევნები პატიოსნად მოიგოს. ერთადერთი შანსია, რომ უხეში გაყალბებითა და ხელების გადაგრეხით მოახერხოს.

– ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების საკითხს რა შემთხვევაში განიხილავთ?

– ვადამდელი არჩევნების საკითხი ბუნებრივად დგება. ხელისუფლებას აქვს საკონსტიტუციო უმრავლესობა. თუ ხელისუფლებამ ეს არჩევნები წააგო, რანაირად შეიძლება, რომ პარლამენტში შეუნარჩუნდეს ეს უმრავლესობა. ეს აბსოლუტურად შეუსაბამო და ხალხის საწინააღმდეგოა.

– ორ სხვადასხვა არჩევნებსა და ორ სხვადასხვა ვითარებაზე ვსაუბრობთ.

– ფორმალურად კი, მაგრამ, ხომ ნათელია, რომ აქ მხოლოდ სალომე ზურაბიშვილზე არ არის ლაპარაკი. ხომ ვნახეთ, რომ სალომე ზურაბიშვილის ნაცვლად ბიძინა ივანიშვილი მოგვევლინა საარჩევნო ბანერებზე. სალომე ზურაბიშვილის სურათიც კი აღარ გამოაკრეს ბანერებზე, ანუ ახლა რეალურად რეფერენდუმია.

ჩვენ რეალურ ვითარებაზე ვსაუბრობთ. არ ვიცი, თქვენ, როგორც მოქალაქეს, თუ სხვა აზრი გაქვთ. მე გელაპარაკებით იმაზე, რა არის საღი აზრი. მე ისე არ ვლაპარაკობ, რაც მე ან ჩვენს პარტიას აწყობს.

საღი აზრი ის არის, რომ რეალურად რეფერენდუმია, ეს ხელისუფლება უნდა ხალხს თუ არ უნდა. საღი აზრია ის, რომ ხელისუფლება, რომელიც არჩევნებს წააგებს, არ შეიძლება, საკონსტიტუციო უმრავლესობით იყოს პარლამენტში წარმოდგენილი და ასევე ჰქონდეს მთავრობა. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, საზოგადოებას ექნება სურვილი, რომ არა მხოლოდ პრეზიდენტობაზე უთხრას უარი ხელისუფლებას, არამედ ზოგადად და ისე გადაალაგოს პარლამენტის წარმომადგენლობა, როგორც მას საჭიროდ მიაჩნია.

ეს საკითხი ბუნებრივად დგება და ეს არანაირად არ ნიშნავს დესტაბილიზაციასა და არეულობას. ამ საკითხის დასმასა და დესტაბილიზაციას შორის ტოლობა თითიდან გამოწოვილი რაღაცაა და უსამართლოა და ამას არავინ აკეთებს.

თან არ არის ერთი პარტია, ვხედავთ, რომ პრაქტიკულად პროდასავლური ოპოზიცია გაერთიანდა. თუკი ვინმე არასამთავრობო ორგანიზაცია ან საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლობაა, ისინი ამ ჭკუაზე არიან.

– ანუ კონსტიტუციურ ჩარჩოებში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების გააქტიურებას აპირებთ?

– დიახ, მაგას გეუბნებით, რომ ეს საკითხი ბუნებრივად დგება, კანონის ჩარჩოებში, რა თქმა უნდა და საზოგადოებას ექნება სურვილი, შესაბამისობაში მოიყვანოს საპარლამენტო წარმომადგენლობითობა. მე გელაპარაკებით საზოგადოების ნებაზე.

– ჩემი აზრი იკითხეთ. არ გავურბივარ მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას. მე ყოველთვის მრავალპარტიულობის მომხრე ვარ.

– მრავალპარტიული ახლაც არის პარლამენტი, მაგრამ საკმარისი არ არის.

– მრავალპარტიული როგორ არის, როცა საკონსტიტუციო უმრავლესობა „ქართულ ოცნებას“ აქვს და კიდევ 2 პარტია შევიდა, უბრალოდ, შემდეგ ნაცმოძრაობა“ დაიშალეთ?

– გასაგებია, რასაც ამბობთ. ჩვენი ამოცანაა კოალიციური ხელისუფლების შექმნა და კოალიციური უმრავლესობის ყოფნა პარლამენტში. კარგი იქნება და სწორი, ყველა გამოცდილების გამთვალისწინებელი იქნება, რაც მიიღო საქართველოს პოლიტიკურმა კლასმა დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან დღემდე. ეს უზრუნველყოფს სტაბილურობასაც და იმ პრობლემებისა და შეცდომების გათვალისწინებასაც, რაც ამ და წინა ხელისუფლებების დროს იყო დაშვებული.

ეს იქნება სწორი და მისაღები ყველასთვის, რომ არც ერთ პარტიას არ ჰქონდეს ერთპიროვნული მმართველობა, ყველა ერთმანეთს აბალანსებდეს, საქმეზე იყოს აქცენტი და არა – ერთმანეთისთვის ხელების გადაგრეხასა და არაჯანსაღ პროცესებზე.

ეს არის საზოგადოების მოთხოვნა და ეს უნდა იყოს აღსრულებული.

გედევან ფოფხაძე: „სამოქალაქო ომთან დაკავშირებულ განცხადებას არ ვნანობ“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ამდენად, შეწყალების ინსტიტუტით შეიძლება მანიპულირება, პოლიტიკურად მოტივირებული შეწყალება ძალიან დიდი საფრთხის მატარებელია. ვაშაძის პოლიტიკური მოკავშირეები არიან მერაბიშვილი და ახალაია და ეს ხალხი პოლიტიკურ ბრძოლაში სჭირდება.

მე რომ გავაკეთე განცხადება, როგორ შეიძლება, პოლიტიკური მოტივაციით შეწყალება იყოს ვინმეს ხელში, მით უფრო პრეზიდენტის ხელში ინსტრუმენტი, ამ განცხადებას მოჰყვა მეორე დღეს ახალაიასა და მერაბიშვილს წერილები, შეწყალება არ გვინდაო. მერე თქვა ვაშაძემ, მათ კი არა, მცირეწლოვანი შვილი რომ ჰყავს, იმ ქალბატონს შევიწყალებო. მე არ ვიცი, რომელ ქალბატონზე იყო საუბარი, სულ 300 ქალბატონია საპატიმროში, მაშინ ეთქვა, ვის გულისხმობდა, მაგრამ არ მჯერა და არ არის სარწმუნო ეს განცხადება.

გასაგებია, ვის იწყალებდა, შემდეგ შეცვალა რიტორიკა. ამ ადამიანის ხელში შეწყალების ინსტიტუტი შეიძლება იქცეს ძალიან ცუდ რამედ, რადგან რაც გულში აქვს, ის უკვე ერთხელ წამოსცდა. ახლა ამას ვერანაირად ვერ ჩაანაცვლებს ქალბატონით, რომელსაც მცირეწლოვანი შვილი ჰყავს.

– თქვენ ხელში არ არის საკონსტიტუციო უმრავლესობა? შეგიძლიათ, კონსტიტუცია გადასინჯოთ და შეწყალების უფლება ჩამოართვათ პრეზიდენტს.

– არა, კონსტიტუციის ცვლილება ძალიან ხანგრძლივი პროცესია. ერთი წელი მაინც დაგვჭირდება ამ ნორმის შესაცვლელად. პრინციპულ დონეზე ასეთი საკონსტიტუციო ცვლილების მომხრე მე არ ვარ. შეწყალების ექსკლუზიური უფლება პრეზიდენტს უნდა ჰქონდეს და არა, მაგალითად, მთავრობას.

ვაშაძე თუ გახდება პრეზიდენტი, ის იქნება ტროის ცხენი, რომლის მუცლიდანაც გადმოცვივდებიან სააკაშვილი, მერაბიშვილი, ახალაია, ის ზონდერები, რომლებიც ციხეებში ხალხს აუპატიურებდნენ, ის ნიღბიანები, რომლებიც გაჰკიოდნენ „ბადრის რა...“ და დედას რომ აგინებდნენ.

ეს არის ჩემთვის ცხადი და ნათელი. გნებავთ, დავიძაბოთ ამის გამო და გნებავთ, ნუ დავიძაბებით, მაგრამ მე მირჩევნია, დავიძაბო და არჩევნებამდე მობილიზებული ვიყო და ეს საფრთხეები ჩვენს ქვეყანას ავარიდოთ.

მე ამ საფრთხეებს ვგულისხმობდი, როდესაც სამოქალაქო დაპირისპირებაზე ვაკეთებდი აქცენტს და არა იმას, რომ ინფორმაცია მაქვს, რომ არალეგალურად ქვეყანაში იარაღი შემოიტანეს. ასეთი ინფორმაცია არც არავის გვაქვს. მეორე მხარეს არის ძალა, რომელიც ყველაფერზეა წამსვლელი, მათ შორის, ცხედრებზეც გადაივლის და ამ ძალას მიხეილ სააკაშვილი ჰქვია.

– ყველა არჩევნებს ლაიტმოტივად გასდევს სამოქალაქო დაპირისპირების, არეულობის საფრთხე, რაზეც ხელისუფლების მაღალჩინოსნები საუბრობენ, მაგრამ არჩევნები გაივლის და ეს თემაც დავიწყებას მიეცემა. რატომ?

– მე ვისაუბრე იმ დაპირისპირებაზე, რომელიც რეალურია. ნიკა გვარამია სამი თვე მოღალატეს მიწოდებდა, მერე ფეისბუკპოსტი დაწერა, ვინც სალომე ზურაბიშვილს მხარს დაუჭერს, ყველას იდენტიფიცირებას მოვახდენთ და დავსჯითო. ჩემს განცხადებაზე კი მეგობრობა მეგობრობადო და უწმაწური სიტყვებით მომიხსენია.

– ისე, თქვენი სიტყვები მახსოვს ადრე ნათქვამი, თუ ნიკა გვარამიას ჩემი დაცვა დასჭირდება, მე მას დავიცავო.

– დიახ, მე ამას ვამბობდი მასზე, მაგრამ რიტორიკა მან შეცვალა. კაი ხანია, ჩემი მეგობარი აღარ არის, საერთოდ არ ვიცი, ვინ არის.

– მეორე ტურის მოლოდინები როგორია? ბევრი კითხვა გამოიწვია ახალმა ბილბორდებმა, სადაც ბიძინა ივანიშვილია და არა – სალომე ზურაბიშვილი. ეს „ოცნების“ სტრატეგიული გადაწყვეტილებაა?

– მე ვერ ვხვდები, ამაში რა პრობლემაა. მეორე ტური არის ღირებულებითი არჩევანი. ეს არ არის მხოლოდ კანდიდატებს შორის არჩევანი. ეს არ არის სალომე ზურაბიშვილსა და გრიგოლ ვაშაძეს შორის ბრძოლა. პოლიტიკური მოცემულობის არასწორი აღქმა იქნება, რომ ვაშაძეს ვუყუროთ როგორც მხოლოდ კანდიდატს და ამ პროცესს, როგორც მხოლოდ საარჩევნო კამპანიას. ამიტომ, მე მაგალითად ამ ბილბორდზე არა მხოლოდ ბიძინა ივანიშვილს, არამედ ია მეტრეველს, რობაქიძეს, გირგვლიანს, ვაზაგაშვილს განვათავსებდი, რადგან ისინი არიან ამ კრიმინალური ბანდის წინააღმდეგ ბრძოლის სახე.

– თქვენი ამომრჩეველი დაგიბრუნდებათ? რა მოლოდინები გაქვთ?

– ბუნებრივია, საზოგადოება ამ ყველაფერს რაციონალურად მიუდგება და გააანალიზებს. მე ვფიქრობ, ის ამომრჩეველი, რომელიც 2012 წელს აკეთებდა არჩევანს, დღესაც გამოვა და ამ არჩევანს გააკეთებს. ჩვენ გვჯერა, რომ კვლავ წამოვა ის ტალღა, ის ხალხი, ვინც პირველ ტურს გულგრილად მიუდგა და უკვე ღირებულებით არჩევანს გააკეთებს.

მე მჯერა, რომ ეს ხალხი სახლში არ დარჩება. მე იმედი მაქვს საზოგადოებრივი აქტიურობის, ამ ყველაფრის გაანალიზების, რომ სააკაშვილის რევანში დაუშვებელია.

– პირველ ტურში ელოდით ამ დარტყმას? რამ იქონია გავლენა, რა იყო მიზეზი ამ შედეგების, გაუცივდა გული თქვენს ამომრჩეველს?

– მიზეზები იყო სუბიექტურიც და ობიექტურიც. მაგალითად, ჩვენი ამომრჩევლის, საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილი წინააღმდეგი იყო კანაფის კულტივაციის. გასაგები იყო, რომ ეს კანონი ვერ გავიდოდა და უმრავლესობა მხარს არ დაუჭერდა, მაგრამ საზოგადოებაში არასწორი მოლოდინები შეიქმნა ამასთან დაკავშირებით.

ის საზოგადოება, რომელიც ჩვენგან ელოდება ტრადიციული ღირებულებების დაცვას, ეროვნული ინტერესების დაცვას, დაიბნა. ასევე, 6 წელია, გაუთავებლად მიდის ჩვენი მხრიდან საუბარი იმაზე, რომ ნაციონალური მოძრაობის დამნაშავეები არ შეიძლება რაიმე ფორმით „ოცნებასთან“ ასოცირდებოდნენ.

– თუმცა, გუნდში გყავთ.

– ამიტომ, ჩვენც ცალსახა და მკაფიო მორალური არჩევანი უნდა გავაკეთოთ. საზოგადოებაში ეს კითხვის ნიშნები უნდა მოვხსნათ. ორგანიზებული მხარდაჭერა, რომელიც გვქონდა, გაიბნა, რადგან ხალხი ვეღარ მიხვდა, ჩვენ რა გვინდა. მათ კი მოახერხეს თავიანთი ძალების ორგანიზებულობითა და ხალხის გაჭირვებით სწორი მანიპულირება.

ჩვენ გზავნილები, რაც გვქონდა, ხალხამდე ვეღარ მივიტანეთ. მე მაინც მჯერა, რომ მეორე ტურში საზოგადოების განწყობები რადიკალურად შეიცვლება და შეიცვლება ჩვენი პოლიტიკაც იმ აქცენტებით, რომლებიც საზოგადოებამ დასვა.

მამუკა გამყრელიძე: „ივანიშვილმა თავი სასწორზე დადო“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ყოფილი დიპლომატი **მამუკა გამყრელიძე** პასუხობს.

– ბატონო მამუკა, ოპოზიციის დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, ცესკომ არჩევნების მეორე ტური ოთხშაბათ დღეს დანიშნა და უქმედ გამოაცხადა. რატომ აქვს ოპოზიციას ამხელა წინააღმდეგობა, რას ცვლის ეს თარიღი?

– თარიღი მხოლოდ ცვლის იმას, რომ ადამიანებისთვის, რომლებიც უცხოეთში ცხოვრობენ და იქ მუშაობენ, ხმის მიცემა რთული იქნება. დამქირავებლები ალბათ ძალიან ბევრს არ გაუშვებენ ხმის მისაცემად. ხმის მიცემის პუნქტები არის მხოლოდ დედაქალაქებში და, მაგალითად, ბარსელონიდან მადრიდში წასვლა ძალიან გაუჭირდებათ და ამ ხალხის ხმები დაიკარგება. ყველასთვის ცნობილია, რომ ოპოზიციამ უცხოეთში საგრძნობლად გაიმარჯვა.

– თამარ ჟვანიამ თქვა, უცხოეთში არ ყოფილა დიდი აქტივობა, ჯამში 5.000-მა ამომრჩეველმა მიიღო მონაწილეობა და მეორე ტურშიც ამდენივეს ველოდებითო.

– თუნდაც 5 ათასი იყოს, ეს ხმები დასაკარგია?! ჩვენ მიყრუებულ სოფლებში დავდივართ კარდაკარ ერთი და ორი ხმის მოსაპოვებლად. ერთი ხმაც არ უნდა დაიკარგოს, ყველა ადამიანის კანონიერი უფლებაა, მისცეს ხმა არჩევნებში.

– ანუ ხელისუფლებას აწყობს, რომ ეს ხმები დაიკარგოს?

– აწყობს, იმიტომ რომ უცხოეთი დიდი უპირატესობით მოიგო ოპოზიციამ.

– დასვენების დღედ ცხადდება 28 ნოემბერი.

– კი მაგრამ, ეს ხალხი აცხადებს, რომ ხმის მიცემას სჭირდება ნახევარი საათი და ამის შემდეგ რატომ არ უნდა ვიმუშაოთო. გამოდის, რომ მერე უნდა შეცვალონ გრაფიკი, ოთხშაბათს დაისვენონ და ამის მაგივრად კვირას იმუშაონ, რაც მათთვის სერიოზულ პრობლემებს ქმნის. უაზრო პრობლემებს ქმნიან იმის გამო, რომ ოპოზიციას დააკარგვინონ 2 ათასი ხმა.

არა მგონია, რომ ეს ნორმალური იყოს, მით უმეტეს, თუ გავიხსენებთ ბიძინა ივანიშვილის გამონათქვამებს, როგორ ამუნათებს საკაშვილს, რომ მან ორშაბათ დღეს დანიშნა არჩევნები.

– დიახ, 2012 წლის 1 ოქტომბერი ორშაბათი იყო. მაშინ თუ შეიძლებოდა?

– კანონით მას ამის უფლება ჰქონდა. ამჟამინდელი კანონი, 215-ე მუხლი, კრძალავს სამუშაო დღეს არჩევნების დანიშვნას.

– მეორე ტურში არ კრძალავსო, თამარ ჟვანიამ განაცხადა.

– ძალიან ბუნდოვანი განმარტებაა 96-ე პუნქტში და ამიტომ სხვადასხვანაირად შეიძლება ამის გაგება. ნებისმიერ შემთხვევაში ეს ძალიან არაკორექტული საქციელია ხელისუფლების მხრიდან. თუმცა ჩვენ მივეჩვიეთ ხელისუფლების მხრიდან სრულიად არაკორექტულ გამონათქვამებს, არაკორექტულ ქცევებს, არაკორექტულ გადაწყვეტილებებს და ამიტომ ამაში ჩემთვის გასაკვირი არაფერია.

– ქალაქში ახალი უცნაურობა აღმოვაჩინეთ ბანერებზე, სადაც სალომე ზურაბიშვილი ბიძინა ივანიშვილმა ჩაანაცვლა. რას ნიშნავს ეს ყველაფერი?

– ხუმრობაც გავრცელდა სოციალურ ქსელში, სალომე ზურაბიშვილი ბიძინა ივანიშვილად გადაიქცაო.

– ფერი იცვალა?

– დიახ, ასეა. ხუმრობა იქით იყოს და მე არა მგონია, ამან რაიმეთი გააუმჯობესოს სალომე ზურაბიშვილის მდგომარეობა. ბოლო დროს ბიძინა ივანიშვილის გამოსვლებს დაბალი ყურებადობა და რეიტინგი აქვს. ეს ვერ უშველით. ახლა რა გამოდის, რომ საკუთარი თავი გადააბა სალომე ზურაბიშვილს და სალომე ზურაბიშვილი იქნება მთლიანად მასთან დაკავშირებული. წარმოიდგინეთ, როგორი სიტუაცია იქმნება.

– როგორი?

– ივანიშვილი სასწორზე დებს საკუთარ თავს. ეს იმას ნიშნავს, რომ რეალურად ხელისუფლება შედის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში საკუთარ ხალხთან. აი, ეს არის ძალიან საშიში და ძალიან არასასიამოვნო ფაქტი.

დღეს სალომე ზურაბიშვილს ასახელებენ, როგორც დამოუკიდებელ კანდიდატს და მას მხარს უჭერს პარტია „ქართული ოცნების“ ლიდერი. საერთოდ რომელ დამოუკიდებლობაზეა ლაპარაკი და საერთოდ რაზეა ლაპარაკი?! მათ ვერ გათვალეს ის, რომ ჩვენ ახალი განლაგება მივიღეთ სამოქალაქო საზოგადოებაში, ხალხმა ძალიან კარგად დაიწყო აზროვნება. ხალხში სიარულმა დაგვანახა, რომ ხალხი სხვაგვარად ფიქრობს და აზროვნებს.

– ბატონო მამუკა, ევროპარლამენტის დეპუტატმა თქვა, რომ მიუღებელია საბჭოთა დიპლომატი საქართველოს პრეზიდენტად. ამაზე რას იტყვით?

– რას ნიშნავს საბჭოთა დიპლომატი? როდესაც გია ვაშაძემ მიიღო განათლება, მაშინ ჩვენ ყველანი საბჭოთა კავშირში ვცხოვრობდით. ერთადერთ უნივერსიტეტში იყო დიპლომატიური განათლების მიღება შესაძლებელი, სხვაგან დიპლომატიურ განათლებას უბრალოდ ვერ მიიღებდი. იცით, როგორი რაღაცაა, ყველაფერს რომ შეიძლება კუდი გამოაბა, ხოლო კვალიფიკაციის თვალსაზრისით მთელმა მსოფლიომ იცის, ვინ რა ღირს!

– რამდენად ელოდებით დაძაბულობას? გვესმის შეფასებები, რომ რევოლუციური სცენარისკენ მივდივართ.

– საიდან მოიტანეს, რომ აქეთ მივდივართ?! მე ასე არ ვფიქრობ. თუ ისევ შკლიაროვის სიტყვებს ეკიდებიან, ამ ადამიანმა სულ სხვა რამ იგულისხმა. ის რევოლუციას ხედავს სიახლეებსა და დემოკრატიზაციის ხარისხში. ლაპარაკი იმაზე კი არ არის, რომ ვიღაცა თოფით გამოვარდება. ეს ადამიანი ათწლეულებია, ამერიკაში ცხოვრობს და მისთვის რევოლუციური ცვლილებები ნახტომსა და სიახლის დასაწყისს ნიშნავს.

– ამას გულისხმობს, როდესაც რევოლუციურ სცენარს ახსენებს?

– დიახ და ეს აპელირება რევოლუციაზე ასევე მოდის ხელისუფლებიდან. არიან ერთ ამბავში, გაჰყვირიან, რუსი პიარშიკიო. რა, კახა კალაძე სომეხი ფეხბურთელია?!

– კალაძე რა შუაშია?

– სწორედ ისეა შკლიაროვი რუსი პოლიტტექნოლოგი! ის კაცი ბელორუსია და მისთვის რუსი შეურაცხმყოფელია. იტალიელმა წამყვანებმა რომ მოიხსენიონ კალაძე სომეხ ფეხბურთელად, ესიამოვნება? აი, ზუსტად ასეა აქაც.

არანაირი რევოლუცია! ჩვენ ძალიან მშვიდად, ძალიან წყნარად უნდა მივიდეთ არჩევნებზე, მშვიდად გავაკეთოთ არჩევანი და არანაირი რევოლუცია არ მოხდება.

ეს იქნება ერთი ეტაპი, ჩვეულებრივი დემოკრატიული პროცესი, ხელისუფლების მონაცვლეობის პროცესი! არც ხელისუფლებიდან წასვლა გახლავთ ტრაგედია. ხელისუფლებაც და ოპოზიციაც ერთი სისტემის ორი ნაწილი უნდა იყოს, რომელიც ქვეყნის საკეთილდღეოდ არის მომართული. ისინი ერთმანეთს უნდა ავსებდნენ და აბალანსებდნენ. ოდესმე ამას უნდა მივხვდეთ!

– ანუ თქვენ არ ელოდებით დაძაბულობას?

– არავითარ შემთხვევაში, კატეგორიულად არ ველოდები! ველოდები, რომ ხელისუფლებას ეყოფა გონი იმისა, რომ უბრალოდ დათმოს ის თავისი პოზიციები და ეს არის ქვეყნის გამარჯვება.

ბიძინა ივანიშვილმა და მიხეილ სააკაშვილმა კი არ უნდა იჭიდაონ სადღაც ტატამზე, არამედ ჩვენმა იდეებმა, შეხედულებებმა და პროგრამებმა უნდა იჭიდაონ და ხალხმა უნდა ირჩიოს საუკეთესო იდეა და საუკეთესო პროგრამა და არა კონკრეტული ადამიანი თუ ლიდერი, რაც უნდა პატივსაცემი იყოს ის.

„სალომე ზურაბიშვილი ბიძინა ივანიშვილს უნდა გაემიჯნოს“

მირიან მირიანაშვილი: „საზოგადოება გადაბარებას ვერ შეეგუება“

მარიამ მჭედლიშვილი

ბოლო დღეებში სხვა თემებთან ერთად მთავარმა პოლიტიკურმა სპარინგ-პარტნიორებმა კიდევ ერთხელ წამოსწიეს მოსალოდნელი რევოლუციისა და სამოქალაქო ომის საკითხი. „ქართული ოცნების“ აქტივი უფრო მეტი გააფთრებით ირწმუნება, რომ ნაციონალური მოძრაობა რევოლუციას გეგმავს. ნაციონალური მოძრაობა, თავის მხრივ, საზოგადოებას არწმუნებს, რომ მმართველი პარტიის მიზანია სამოქალაქო ომის გაჩაღება. ქვეყანაში მიმდინარე რთულ პროცესებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა „საქართველოს გადარჩენის მოძრაობის“ ლიდერს, ყოფილ დეპუტატ მირიან მირიანაშვილს.

მირიან მირიანაშვილი:

– ნაციონალურმა მოძრაობამ უარი თქვა თავის თავდაპირველ რევოლუციურ გეგმაზე, რომელიც ნიშნავდა რევოლუციას 28 ოქტომბერს და მომდევნო დღეებში. სამაგიეროდ, საქმეში ჩაირთო სხვა მექანიზმები – არჩევნების გაყალბება, ლარის გაუფასურება და ნავთობის ფასი. თვე-ნახევრის განმავლობაში მსოფლიოში ბენზინის ფასი 30%-ით დაეცა. ამის მიუხედავად, საქართველოში ბენზინის ფასი უცვლელი დარჩა. ეს უკვე სკანდალურია ფაქტია.

ზოგადად, განვითარებადი ნავთობის არაექსპორტიორი ქვეყნების ეროვნული ვალუტა მყარდება მაშინ, როცა ნავთობი და ბენზინი იაფდება მსოფლიო ბაზარზე. ჩვენთან სულ სხვა პროცესებია. ეს ხდება რუსეთიდან მიღებული დირექტივით. ამაში მონაწილეობს პირადად ბიძინა ივანიშვილი.

– ამ დღეებში ყველგან ისევ სიტყვა „რევოლუცია“ ისმის.

– ეს სიტყვა არ არის მოკლებული საფუძველს. ნაცმოძრაობას რევოლუციის სხვა ვარიანტი აქვს ჩაფიქრებული. ნაციონალები არ დაკმაყოფილდებიან გრიგოლ ვაშაძის გაპრეზიდენტებით.

– ნაციონალების მტკიცებით, ამას მოჰყვება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, თუმცა ამას თავისი წესი და პროცედურა აქვს და ვადამდელი არჩევნები ასე მარტივად არ ინიშნება.

– ნაცმოძრაობა და მისი ინსტრუქტორები რუსეთიდან ვადამდელ არჩევნებზეც არ ამყარებენ იმედს, მით უმეტეს, ისინი არ აპირებენ მოცდას 2020 წლამდე. 2003 წელს ხომ შეცვივდნენ პარლამენტში? ახლაც შეცვივდებიან. მათი ამოცანაა აგრეთვე დედაქალაქის მმართველობის ხელში ჩაგდება.

– დედაქალაქს არჩეული მერი და საკრებულო ჰყავს. მერის კაბინეტსა და საკრებულოშიც შეცვივდებიან?

– ქუჩის აქციებით შესაძლებელია, აიძულო მერი, გადადგეს.

– „ქართულ ოცნებაში“ ბოლო დღეებში სხვანაირად აფუსფუსდნენ. ალბათ, ახალი ინფორმაცია მიიღეს.

– ამ ხალხს აქამდეც უნდა სცოდნოდა, რა ხდება. „ქართული ოცნების“ უმწიფარი პოლიტიკოსები ძალიან გვიან ჩასწვდნენ, რა დაემართათ.

– მიხვდნენ, რომ „ოცნების“ მმართველობა მთავრდება?

– აქამდე ამ ხალხს ეგონა, რომ ყველაფერი დამთავრდებოდა ვაშაძის გამარჯვებით და, მაქსიმუმ, ნაციონალებისთვის ვიცეპრემიერის პოსტის დათმობით, მერე კი გარიგება გაგრძელდებოდა. დარწმუნებული იყვნენ, რომ მათი სავარძლები და პირადი კეთილდღეობა არ შეირყეოდა. ახლა მიხვდნენ, რომ მათი საქმეც წასულია.

– ე.ი. პუტინის ადმინისტრაციის გეგმა საქართველოში ხელისუფლების ახალი გადაბარების, ანუ რევოლუციის მოწყობის თაობაზე, რაზეც ადრე ისაუბრეთ, სრულდება?

– ჯერჯერობით, სრულდება. ამაში მონაწილეობენ ნაციონალური მოძრაობა, ყოფილი ნაციონალები და „ქართული ოცნების“ ნაწილი.

– მათ სალომე ზურაბიშვილი გაწირეს?

– ჯერჯერობით, ასეთი ვითარებაა. ლარის გაუფასურება და ბენზინის მაღალი ფასი უარყოფითად მოქმედებს ზურაბიშვილის რეიტინგზე. საქართველოში ხელისუფლების გადაბარების გეგმაში ჩართული პუტინის თანაშემწე სურკოვის გამოთქმით, კურსი 1 დოლარი 3 ლარი თამარ მეფის რეიტინგსაც კი შეარყევს.

– კრემლი იმაზე მეტად ერევა საქართველოს საშინაო საქმეებში, ვიდრე საზოგადოებას ჰგონია?

– რასაკვირველია. გრიგოლ ვაშაძის რამდენიმეწუთიანი შეხვედრა გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელთან პირადად რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ლავროვის ორგანიზებულია.

– ნაცმოძრაობამ ეს შეხვედრა სატრაბახოდ გაიხადა. მდგომარეობის შეცვლა შესაძლებელია?

– გამოსავალი არსებობს. ერთი გზა თვითონ სალომე ზურაბიშვილის გააქტიურებაა. დაუჯერებელია, ის ვერ ხვდებოდეს, რა პროცესები მიმდინარეობს. მან უნდა გამოაცხადოს, რომ დამოუკიდებელია, ემიჯნება ივანიშვილსა და „ქართულ ოცნებას“. ეს შესაძლებელია, თუნდაც, არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე. თუ პრეზიდენტობის კანდიდატს ამაზე რეაქცია არ ექნა, საზოგადოება მას სამუდამოდ ზურგს შეაქცევს და გადაბარების თანამონაწილედ აღიარებს.

– სხვა გამოსავალიც არის?

– კიდევ ერთი გამოსავალი ერის გამოხმაურებაა. თუ საზოგადოება წინ აღუდგა ახალ რევოლუციასა და ხელისუფლების გადაბარების კრემლიდან ნაკარნახევ გეგმას, მაშინ დასავლეთი ლეგიტიმურად არ ცნობს არჩევნების შედეგებს. საჭირო გახდება მისი შედეგების ობიექტური გამოძიება. ოღონდ, საზოგადოების პროტესტის დისკრედიტაცია არ უნდა მოხდეს მასში პრორუსული ძალებით ჩართვით. მზადდება ისეთი გადაბარება, რომელიც ჩაძირავს ბიძინა ივანიშვილსაც. ახალი ხელისუფლება მას საქართველოში არ აცხოვრებს.



– ეს მას გაცნობიერებული აქვს?

– ალბათ. უკანასკნელ დროს ის რუსეთიდან დიდი ზეწოლის ქვეშ იმყოფება. აშშ ყველანაირად ცდილობს, არ გაურიგდეს რუსეთს და გაემიჯნოს საქართველოში დაგეგმილ ხელისუფლების გადაბარების პროცესს. ამის გამო საქართველოში არ ინიშნება აშშ-ის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი. ამერიკელმა რესპუბლიკელებმა რომ საქართველოში ელჩი გამოგზავნონ, დემოკრატები მათ რუსეთთან გარიგებაში დაადანაშაულებენ.

– საზოგადოების ჯგუფები გულწრფელად აპროტესტებენ ნაციონალების მობრუნებას.

– საზოგადოების აქტიურობას ბევრი რამ შეუძლია. სალომე ზურაბიშვილსაც აქვს შანსი, გადადგას სწორი ნაბიჯი. „ქართული ოცნების“ ქვედა რგოლები ალალად და პატიოსნად ასრულებენ თავიანთ საქმეს. ისინი ქვეყნის საწინააღმდეგო გარიგებაში არ მონაწილეობენ. რიგითი ადამიანები არ მალავენ თავიანთ შეშფოთებას. ისინი ამჩნევენ, რომ „ოცნების“ ბირთვი ნაციონალების მობრუნებისთვის იღვწის. საზოგადოება გადაბარებას ვერ შეეგუება.

2018 წლის მონაცემებით, ყველაზე მეტი ქონება „საქართველოს ბანკმა“ დაისაკუთრა

2018 წლის მესამე კვარტლის მიხედვით, საბანკო სექტორის მოგება 603 მილიონ ლარს შეადგენს.

ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშგებების მიხედვით, მიმდინარე წლის მესამე კვარტალში ყველაზე დიდი მოგება „თიბისი ბანკს“ უფიქსირდება. ,,თიბისი ბანკის“ წმინდა მოგებამ მიმდინარე წლის მესამე კვარტლის ბოლოს 261.928.375 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 22.6%-ით მეტია გასული წლის სექტემბრის ბოლოსთვის არსებულ მოგებაზე, მაშინ ბანკის მოგება 213.511 033 მლნ ლარი იყო. გაზრდილია მოგების მაჩვენებელი დარეზერვებამდეც და აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2018 წლის მესამე კვარტლის მონაცემებით 449 მილიონი ლარი შეადგინა, გასული წლის ანალოგიურ პერიოდში კი 309 მილიონი იყო.

2017 წლის სექტემბრის ბოლოდან ამ წლის ანალოგიური პერიოდამდე ბანკის აქტივები 11 მილიარდი ლარიდან 14 მლრდ ლარამდე გაიზარდა, ვალდებულებები – 10 მლრდ ლარიდან 12 მლრდ ლარამდე. ბანკის სააქციო კაპიტალი გაზრდილია – 1.4 მლრდ ლარიდან 1.7 მლრდ ლარამდე. „თიბისის“ შემდეგ მოგების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი „საქართველოს ბანკს“ უფიქსირდება.

„საქართველოს ბანკის“ წმინდა მოგებამ 2018 წლის მესამე კვარტლის ბოლოს 183.474.275 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 103 მილიონით ნაკლებია გასული წლის სექტემბრის ბოლოს არსებულ მოგებაზე, მაშინ ბანკის მოგება 286.710.388 მლნ ლარი იყო. თუმცა, მიუხედავად წმინდა მოგების ასეთი შემცირებისა აღსანიშნავია, რომ 76 მილიონი ლარით არის გაზრდილი მოგების მაჩვენებელი დარეზერვებამდე და მან 2018 წლის მესამე კვარტლის მონაცემებით 413 მილიონი ლარი შეადგინა, გასული წლის ანალოგიურ პერიოდში კი 337 მილიონი იყო.

2017 წლის სექტემბრის ბოლოდან ამ წლის ანალოგიური პერიოდამდე ბანკის აქტივები 10 მილიარდი ლარიდან 13 მლრდ ლარამდე გაიზარდა, ვალდებულებები – 9 მლრდ ლარიდან 11 მლრდ ლარამდე. ბანკის სააქციო კაპიტალი გაზრდილია – 1.2 მლრდ ლარიდან 1,3 მლრდ ლარამდე. საანგარიშო პერიოდში მესამე ყველაზე მომგებიანი ბანკი „ლიბერთი ბანკია“.

„ლიბერთი ბანკის“ წმინდა მოგებამ მიმდინარე წლის მესამე კვარტლის ბოლოს 36.203.697 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 1.6 მილიონი ლარით მეტია გასული წლის სექტემბრის ბოლოსთვის არსებულ მოგებაზე, მაშინ ბანკის მოგება 34.537.504 მლნ ლარი იყო. გაზრდილია მოგების მაჩვენებელი დარეზერვებამდე და მან 2018 წლის მესამე კვარტლის მონაცემებით 68 მილიონი ლარი შეადგინა, გასული წლის ანალოგიურ პერიოდში კი 62 მილიონი იყო.

2017 წლის სექტემბრის ბოლოდან ამ წლის ანალოგიური პერიოდამდე ,,ლიბერთი ბანკის“ აქტივები 1.7 მილიარდი ლარიდან 1.8 მლრდ ლარამდე გაიზარდა, ვალდებულებები – 1.512.603.159 მლრდ ლარიდან 1.592.977.710 მლრდ ლარამდე. ბანკის სააქციო კაპიტალი გაზრდილია 208 მლნ ლარიდან 261 მლნ ლარამდე.

IV და V პოზიციებს რეიტინგში „ვითიბი ბანკი“ და „ბაზისბანკი“ იკავებენ. „ვითიბის“ წმინდა მოგებამ მიმდინარე წლის მე-3 კვარტლის მონაცემებით, 27,586,481 ლარი შეადგინა, ხოლო „ბაზისბანკის“ 23,436,238 ლარი.

„ბაზისბანკს“ მცირედით ჩამორჩება „პროკრედიტ ბანკი“, რომლის წმინდა მოგებამაც საანგარიშო პერიოდში 22,187,851 ლარი შეადგინა.

სხვა კომერციული ბანკების წმინდა მოგება კი ამ ექვსთან შედარებით მნიშვნელოვნად მცირეა. 2018 წლის მესამე კვარტალში ბაზარზე სულ 15 კომერციული ბანკი ოპერირებდა.

რაც შეეხება უშუალოდ სავალუტო ოპერაციებიდან მიღებულ მოგებას, 2018 წლის 9 თვის მონაცემებით, კომერციულმა ბანკებმა ვალუტის ყიდვა-გაყიდვით 162.573.723 ლარის შემოსავალი მიიღეს, ხოლო უშუალოდ მესამე კვარტალში კომერციულმა ბანკებს სავალუტო ოპერაციებიდან 51,4 მლნ ლარის შემოსავალი უფიქსირდებათ, რაც წინა კვარტალთან შედარებით, დაახლოებით 3,8 მლნ ლარით მეტია. ცნობისთვის, მეორე კვარტალში ბანკების სავალუტო შემოსავალი 47,6 მლნ ლარს შეადგენდა, ხოლო წინა წლის ანალოგიურ პერიოდში, კომერციული ბანკებმა ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან 157 მილიონი ლარის მოგება მიიღეს.

ასევე, ფიზიკური პირების სესხებიდან ბანკებმა მილიარდზე მეტის საპროცენტო შემოსავალი მიიღეს.

საანგარიშო პერიოდში კომერციული ბანკის საპროცენტო შემოსავლებმა ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებიდან ჯამში, 1,366,718,279 ლარი შეადგინა. ამ თვალსაზრისით 5 ყველაზე შემოსავლიანი ბანკის საპროცენტო შემოსავლებმა კი 1,300,322,349 ლარი შეადგინა.

ანგარიშგებების მიხედვით, ყველაზე მეტი საპროცენტო შემოსავალი ფიზიკური პირების სესხებიდან „საქართველოს ბანკმა“ მიიღო, რომლის შემოსავალმაც საანგარიშო პერიოდში – 533,283,573 ლარი შეადგინა.

„თიბისი ბანკს“ ამ ტიპის სესხებიდან მე-3 კვარტლის მონაცემებით, 450,583,509 ლარის ოდენობის საპროცენტო შემოსავალი უფიქსირდება.

ფიზიკური პირების სესხებიდან საპროცენტო შემოსავლების თვალსაზრისით აღნიშნულ ორ ბანკს მნიშვნელოვნად ჩამორჩება „ლიბერთი ბანკი“, რომელიც 182,044,265 ლარით რეიტინგში მესამე ადგილს იკავებს.

IV და V პოზიციებს კი „კრედო“ და „ვითიბი ბანკი“ იკავებენ, შესაბამისად, მათმა საპროცენტო შემოსავალმა ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებიდან მიმდინარე წლის მე-3 კვარტლის მონაცემებით, 91,105,345 და 43,305,657 ლარი შეადგინა.

2018 წლის მონაცემებით, ყველაზე მეტი ქონება „საქართველოს ბანკმა“ დაისაკუთრა. 2018 წლის მესამე კვარტლის მონაცემებით, „საქართველოს ბანკის“ დასაკუთრებული უძრავი და მოძრავი ქონება 62,4 მილიონ ლარს უტოლდება, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით ნაკლებია. წინა წლის მესამე კვარტალში ბანკის მიერ დასაკუთრებული უძრავი და მოძრავი ქონება 77,1 მილიონ ლარს უტოლდებოდა.

მეორე პოზიციაზეა „თიბისი ბანკი“. „თიბისი ბანკის“ მიერ დასაკუთრებული უძრავი და მოძრავი ქონება ამავე პერიოდში 56,1 მილიონ ლარს უტოლდება, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე ნაკლებია. წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ბანკის მიერ დასაკუთრებული უძრავი და მოძრავი ქონება 58,8 მილიონ ლარს უტოლდებოდა.

მესამე ადგილზე „ქართუა“. „ქართუ ბანკის“ მიერ დასაკუთრებული უძრავი და მოძრავი ქონება 2018 წლის მესამე კვარტალში 26.8 მილიონ ლარს უტოლდება. წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ბანკის მიერ დასაკუთრებული უძრავი და მოძრავი ქონება 35,8 მილიონი ლარის ტოლი იყო.

მომდევნო პოზიციაზე „ვითიბი ბანკია“, რომლის დასაკუთრებული უძრავი და მოძრავი ქონება 8,9 მილიონ ლარს უტოლდება და წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 3,7 მილიონი ლარით ნაკლებია. წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ბანკის მიერ დასაკუთრებული უძრავი და მოძრავი ქონება 5,3 მილიონ ლარს უტოლდებოდა. მომდევნო პოზიციებზე „სილქროუდ ბანკი“, „ფინკა ბანკი“ და „ლიბერთი ბანკი“ არიან.

„სილქროუდ ბანკის“ მიერ დასაკუთრებულმა ქონებამ მიმდინარე წლის პირველ 9 თვეში 954 ათასი ლარი შეადგინა, რაც ბანკის მიერ წინა წლის ანალოგიურ პერიოდში დაფიქსირებულ მაჩვენებელზე ნაკლებია. წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ბანკმა 1,252 მილიონი ლარის უძრავი და მოძრავი ქონება დაისაკუთრა.

„ფინკა ბანკის“ მიერ დასაკუთრებულმა უძრავმა და მოძრავმა ქონებამ 2018 წლის პირველ ცხრა თვეში 149 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ბანკმა 218 ათასი ლარის უძრავი და მოძრავი ქონება დაისაკუთრა.

რაც შეეხება „ლიბერთი ბანკს“, „ლიბერთი ბანკის“ მიერ დასაკუთრებულმა უძრავმა და მოძრავმა ქონებამ 2018 წლის მესამე კვარტლის მონაცემებით 69 ათასი ლარი შეადგინა. წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ბანკის მიერ დასაკუთრებული უძრავი და მოძრავი ქონება 119 ათას ლარს შეადგენდა.

ჯამში ბანკების მიერ დასაკუთრებულმა ქონებამ 2018 წლის ცხრა თვის მონაცემებით 155.3 მილიონი ლარი შეადგინა.

BFM.GE

ოქტომბერში საარსებო მინიმუმი, გასულ წელთან შედარებით, 20 თეთრით შემცირდა

საქსტატის მონაცემებით, მიმდინარე წლის ოქტომბერში შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი, წინა თვესთან შედარებით, 3 ლარითა და 60 თეთრით გაიზარდა და 173 ლარი და 80 თეთრი შეადგინა, ხოლო წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 20-თეთრიანი კლება ფიქსირდება.

საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი 153 ლარი და 90 თეთრია, ხოლო საშუალო ოჯახის – 291.5 ლარი.

ოჯახის ტიპების მიხედვით, საარსებო მინიმუმი შემდეგია (ლარი თვეში):

ერთსულიანი – 153.9 ლარი
ორსულიანი – 246.3 ლარი
სამსულიანი – 277.1 ლარი
ოთხსულიანი – 307.8 ლარი
ხუთსულიანი – 346.3 ლარი
ექვს და მეტ სულიანი – 409.4 ლარი

„ლაღიძის წყლების“ ოჯახისთვის გადაცემის საკითხი მერიაში ისევ გაურკვეველია

„ლაღიძის წყლების“ ისტორიულ ადგილზე – რუსთაველის 24-ში, აღდგენის სურვილი საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მიმდინარე წლის გაზაფხულზე გამოთქვა და შესაბამისი დავალება თბილისის მერ კახა კალაძეს მისცა.

როგორც „კომერსანტმა“ გაარკვია, მიუხედავად თითქმის ერთი წლის გასვლისა, ისტორიული ადგილის ლაღიძეების ოჯახისთვის გადაცემასთან დაკავშირებით კვლავ გაურკვევლობაა.

ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ, მიტროფანე ლაღიძის შთამომავალი, თინათინ ლაღიძე კომერსანტთან საუბარში აცხადებდა, რომ მიმდინარე წლის ზაფხულში ისტორიული ადგილის დაბრუნებასთან დაკავშირებით დადებითი მოლოდინები ჰქონდა, თუმცა ახლა აცხადებს, რომ ამ მიმართულებით სიახლე არ არის.

– გარკვეული პერიოდის განმავლობაში მერიასთან შეხვედრები მიმდინარეობდა და ეს შეხვედრები გრძელდება, თუმცა ამ ეტაპზე სიახლე არ არის. დამირეკეთ რამდენიმე თვეში ახლა ვერაფერს გეუბნებით. მოლაპარაკებების პროცესი მიმდინარეობს და არ შეჩერებულა, – განაცხადა თინათინ ლაღიძემ.

„კომერსანტის“ კითხვაზე აქვს თუ არა ოჯახს რუსთაველის გამზირზე მდებარე ლაღიძის წყლების დაბრუნების იმედი. თინათინ ლაღიძე გვპასუხობს, რომ „რა თქმა უნდა, დაბრუნების იმედი გვაქვს მაშინ რისთვისაა ეს ყველაფერი?

დეტალების გარკვევა კომერსანტმა მერიაში ცადა. როგორც დედაქალაქის მთავრობაში განგვიცხადეს, ლაღიძის წყლების ისტორიული ადგილის ოჯახისთვის გადაცემასთან დაკავშირებით დეტალურ ინფორმაციას უახლოეს მომავალში მოგვაწვდიან.

შეგახსენებთ, რომ ამჟამად რუსთაველის 24-ში არსებული ფართი, რომელშიც წლების განმავლობაში ლაღიძის წყლების დაგემოვნება იყო შესაძლებელი, შპს ლინკოლნ მენეჯმენტი ჯორჯიას საკუთრებაა. კომპანიას ყოფილი კაფის ორივე სართული (პირველი სართული და სარდაფი) გაქირავებული აქვს. ზედა სართულზე 130 კვ.მ.-ზე ამჟამად ტანსაცმლის მაღაზიაNext-ია განთავსებული.

ქვედა სართულზე კი კაფე „აჭარულები ლაღიძეზე“ მდებარეობს, თუმცა, მას კავშირი მიტროფანე ლაღიძის ოჯახთან არ აქვს. ადგილზე კაფე 2014 წელს ვახტანგ ათაბეგაშვილმა გახსნა. მას ტერიტორია იჯარით 2019 წლამდე აქვს აღებული.

საქართველოში სამედიცინო მიზნით ჩამოსულ უცხოელთა რაოდენობა 30%-ით გაიზარდა

სამედიცინო მომსახურებისა და გამაჯანსაღებელი პროცედურების ჩატარებისთვის საქართველოს ბოლო 9 თვის განმავლობაში 19.500 უცხოელი ესტუმრა, რაც 30%-ით მეტია 2017 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. შარშან საქართველოში სამედიცინო მიზნით 14.900 უცხოელი ჩამოვიდა.

ტურიზმის ასოციაციის ხელმძღვანელი ნატა კვაჭანტირაძე „ბიზნესპრესნიუსთან“ იმ ძირითად სამედიცინო მიმართულებებზე საუბრობს, რომლის მისაღებადაც უცხოელი ვიზიტორები ჩამოდიან.

მისი თქმით, განსაკუთრებით გაზრდილია ოპერაციების შემდგომი გამაჯანსაღებელი ვიზიტების რაოდენობა.

– სამედიცინო ტურიზმი ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა როგორც სახელმწიფოსთვის, ისე კერძო სექტორისთვის. შესაბამისად, ამ მიმართულებით სხვადასხვა აქტივობაა დაგეგმილი. მაგალითად, თურქეთში და სხვადასხვა ქვეყნებში ტარდება კონფერენციები, ფორმუმები, სადაც ქართველი ტუროპერატორები ხშირად იღებენ მონაწილეობას. ეს იმას ნიშნავს, რომ კომპანიების მხრიდან ინტერესი არის, რომ ეს მიმართულება განვითარდეს. ჩვენს ქვეყანას ამის პოტენციალი ნამდვილად აქვს. სამედიცინო ტურიზმი არ ნიშნავს მხოლოდ დაგეგმილ ოპერაციებს, აქ იგულისხმება იგივე რეაბილიტაცია, მკურნალობა, გამაჯანსაღებელი პროცედურები და სწორედ ეს მიმართულებაა განსაკუთრებით გააქტიურებული. ჩამოდიან ისეთ კურორტებზე, როგორებიცაა ბორჯომი, საირმე, წყალტუბო და ა.შ. ასევე ძალიან პოპულარულია სტომატოლოგიური და ესთეტიკური მედიცინის მიმართულება. საკმაოდ მოთხოვნადია თმის გადანერგვის ოპერაციებიც, – აცხადებს ნატა კვაჭანტირაძე.

ტურიზმის ასოციაციის ხელმძღვანელის ინფორმაციით, საქართველოს სამედიცინო მომსახურების მიღების მიზნით ძირითადად მეზობელი ქვეყნებიდან სტუმრობენ. კერძოდ, ყაზახეთი, რუსეთი, უკრაინა. თუმცა როგორც ნატა კვაჭანტირაძე აცხადებს, ტურისტები ევროპის ქვეყნებიდანაც ჩამოდიან.

მისივე თქმით, ამ ეტაპზე საქართველოში სამედიცინოო ტურიზმის განვითარების ერთ-ერთ გამოწვევას ცნობადობის გაზრდა წარმოადგენს.

ქვეყანაში სამედიცინო ტურიზმის მიმართულებით არსებულ პრობლემებზე საუბრობს ტურიზმის ადმინისტრაციის ყოფილი ხელმძღვანელი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესსკოლის ტურიზმის ცენტრის ხელმძღვანელი მაია სიდამონიძე. მისი თქმით, მომსახურების ხარისხი, განსაკუთრებით დიაგნოსტიკის მიმართულებით, გასაუმჯობესებელია, ხოლო სამედიცინო კურორტების ნაწილში – ინფრასტრუქტურა მოსაწესრიგებელი.

– ამ მიმართულებით არსებული პრობლემები ძირითადად უკავშირდება სამედიცინო მომსახურების დაბალ ხარისხს. ჩვენი მოქალაქეებიც სწორედ ამიტომ დადიან საზღვარგარეთ სამკურნალოდ. პრობლემაა როგორც დიაგნოსტიკა, ისე მკურნალობა. შესაბამისად, ვიზიტორები ძირითადად უფრო ჩამოდიან კოსმეტოლოგიური ან სტომატოლოგიურ მომსახურების გამო. ვფიქრობ, თუ ჩვენთან ელემენტარული სამედიცინო მომსახურების კულტურა დაინერგება, თუნდაც ფასებიდან გამომდინარე, გაცილებით მეტი ადამიანი ჩამოვა სამედიცინო მომსახურების მისაღებად.

რაც შეეხება კურორტებს, ქვეყანას ამ მიმართულებით ძალიან დიდი რესურსი აქვს, რომლის გამოყენებაც შეიძლება. დღეს ფუნქციონირებს მხოლოდ ბორჯომი, წყალტუბო, საირმე, მაშინ როცა კიდევ უამრავი ადგილია, სადაც სამკურნალო წყლები, ჰავა და კლიმატია. თუმცა იქ ინფრასტრუქტურა და მომსახურების ხარისხია გასაუმჯობესებელი, – აცხადებს მაია სიდამონიძე.

bpn

პირს, რომელმაც ქალს მუქარით ინტიმური ფოტოები გააგზავნინა, სასამართლომ 4 წლით პატიმრობა მიუსაჯა

სასამართლომ ადევნებასა და პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფაში ბრალდებულს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ადევნებასა და პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფაში ბრალდებული ნ.გ. დამნაშავედ ცნო.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით უტყუარად დადასტურდა, რომ ნ.გ.-მ სოციალური ქსელის საშუალებით თ.ჩ.-ს პირადი ცხოვრების ამსახველი ინტიმური დეტალები შეიტყო. ამ ინფორმაციის გამჟღავნების მუქარით ნ.გ.-მ სოციალური ქსელის მეშვეობით თ.ჩ-ს მისთვის საკუთარი ინტიმური ფოტოები გააგზავნინა და მათი გამჟღავნების მუქარით, 2018 წლის ივლისსა და აგვისტოს თვეში, სოციალური ქსელის და მობილური ტელეფონის საშუალებით დაზარალებულთან არასასურველ კომუნიკაციას ამყარებდა. მუქარებისა და ზეწოლის ფონზე თ.ჩ. ფსიქიკურ ტანჯვას განიცდიდა, რის გამოც რამდენიმე სოციალურ ქსელში პირადი გვერდი გააუქმა, რომლებსაც მანამდე აქტიურად იყენებდა და მისი ყოველდღიური ცხოვრების წესს წარმოადგენდა.

სამართალდამცველებმა ნ.გ. სასამართლოს განჩინების საფუძველზე 2018 წლის 30 აგვისტოს ქ.რუსთავში დააკავეს. ქ.თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონულმა პროკურატურამ მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1571-ე მუხლის პირველი ნაწილით (პირადი ცხოვრების საიდუმლოს უკანონოდ მოპოვება და შენახვა) და 1511-ე მუხლის პირველი ნაწილით (ადევნება, ე.ი. პირთან არასასურველი კომუნიკაციის დამყარება ტელეფონის, ელექტრონული ან სხვა საშუალებით, რომელიც სისტემატურად ხორციელდება და იწვევს პირის ფსიქიკურ ტანჯვას, რაც პირს ცხოვრების წესის მნიშვნელოვნად შეცვლას აიძულებს) წარუდგინა. ნ.გ.-ს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ნ.გ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 4 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

ლადო გრიგალაშვილს ანა ნაცვლიშვილის მკვლელობისთვის უვადო პატიმრობა მიესაჯა

თბილისის საქალაქო სასამართლომ დამამძიმებელ გარემოებებში და განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი ანა ნაცვლიშვილის განზრახ მკვლელობისათვის ბრალდებული ლადო გრიგალაშვილის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი დაადგინა და მას სასჯელის სახედ და ზომად უვადო თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

საქალაქო სასამართლოს ინფორმაციით, სასამართლომ ბრალდებული დამნაშავედ ცნო გამოძალვის ეპიზოდშიც, კერძოდ, სხვისი ქონებრივი სარგებლობის მოთხოვნაში, რასაც თან ახლდა დაზარალებულის სახელის გამტეხი ცნობის გახმაურება და ასეთი ცნობის გავრცელების მუქარა. ბრალდებული, ასევე, გამტყუნდა პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის უკანონო შენახვა, გამოყენება და გავრცელების ბრალდების საქმეში, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

საქმე ეხება 2018 წლის 22 თებერვალს, ეჭვიანობის ნიადაგზე, შურისძიების მოტივით და განსაკუთრებული სისასტიკით, ბრალდებულთან სასიყვარულო ურთიერთობაში მყოფი პირის ანა ნაცვლიშვილის მკვლელობას.

ლადო გრიგალაშვილმა გამთენიისას შეყვარებული სახლიდან გაიხმო და მისთვის ძლიერი ტკივილისა და ტანჯვის მიყენების განზრახვით, დანის მრავალჯერადი და მრავლობითი დარტყმით, დაზარალებულს 33 ჭრილობა მიაყენა.

თავისა და კისრის არეში მიყენებული სასიკვდილო ჭრილობებით ანა ნაცვლიშვილი ადგილზე გარდაიცვალა.

საქმის არსებითად განხილვისას ბრალდებულმა თავი არ ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებებში და განმარტა, რომ შეყვარებულის ძებნა მას შემდეგ დაიწყო, რაც ამ უკანასკნელმა მის სატელეფონო ზარებს არ უპასუხა.

სასამართლო სხდომებზე გამოკვლეული მტკიცებულებებით, კერძოდ, მოწმეთა ჩვენებებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერებისა და ჩხრეკის ოქმებით, ამოღებული ნივთიერი მტკიცებულებებითა და საქმის მასალების ანალიზით, სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია ბრალდებულის მიერ ანა ნაცვლიშვილის განსაკუთრებული სისასტიკით განზრახ მკვლელობა.

სასამართლომ ბრალდებული დამნაშავედ ცნო შანტაჟის გზით ა.ც.-ს პირადი ცხოვრების ამსახველი სურათებისა და ვიდეო მასალის გამოძალვისათვის და საჯაროდ გავრცელების მუქარისათვის. ასევე, ამ მასალების შენახვის, გამოყენებისა და სოციალური ქსელ ფეისბუქის მეშვეობით უკანონოდ გავრცელებისათვის.

თვითმკვლელობა თუ მკვლელობა

14 წლის მათე ჯანჯღავას ოჯახი მოზარდის დაღუპვის მიზეზის დადგენას ითხოვს

14 წლის მათე ჯანჯღავას ოჯახის წევრები მოზარდის გარდაცვალების საქმის გამოძიებას მოითხოვენ.

ოფიციალური ვერსიით, ბიჭმა ბაბუის ორლულიანი თოფით შუა სოფელში თავი მოიკლა. ამ ვერსიას თავიდან ოჯახიც დაეთანხმა, თუმცა, მოგვიანებით გარდაცვლილის ახლობლებმა პოზიცია შეცვალეს. ნათესავები ახლა აცხადებენ, რომ ეს თვითმკვლელობა არ ყოფილა და მოზარდი მოკლეს.

ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც გარდაცვლილის მამიდას თვითმკვლელობის ვერსიაში ეჭვი შეეპარა, გულში გამავალი ჭრილობაა, რომელიც მოზარდს ზემოდან ქვემოთ აქვს მიყენებული.

მათეს მამიდა აცხადებს, რომ ბავშვი სანადირო თოფიდან მსგავსი მიმართულებით სხვისი დახმარების გარეშე ვერ გაისროდა.

14 წლის მათე ჯანჯღავა, რომელიც სოფელ ნაგურუში მამასთან, ძმასთან და ბებიასთან ერთად ცხოვრობდა, ერთადერთი ტყვიით შემთხვევის ადგილზევე დაიღუპა.

ჯანჯღავების თანასოფლელების ნაწილი გარდაცვლილის ოჯახის ვერსიას არ იზიარებს.

სოფელ ნაგურუში ამბობენ, რომ საეჭვო არაფერი შეუნიშნავთ და არც არაფერი გაუგიათ. ბავშვი იმ დღეს სკოლაში არ ყოფილა, თანასოფლელებმა კი ნასვამი ნახეს.

გარდაცვლილის ნათესავები კი დარწმუნებულები არიან, რომ სოფელი სიმართლეს მალავს და მკვლელი ნაგურუში ცხოვრობს.

მათე ჯანჯღავას მამიდის ინფორმაციით, ინციდენტის დღეს თანასოფლელ მოზარდებს შორის სკოლის ტერიტორიაზე ჩხუბი მოხდა, რაც ტრაგედიით დასრულდა. სკოლის დირექტორი კურიერს ამ ფაქტს არ უდასტურებს, გარდაცვლილთან დაკავშირებით კი აცხადებს, რომ ოჯახური პრობლემების გამო, მოზარდი გაკვეთილებს ხშირად აცდენდა.

გარდაცვლილი ისე დაკრძალეს, რომ ცხედარს ექსპერტიზა არ ჩასტარებია. ეს ბავშვის მამის სურვილი იყო, რომელმაც პოლიციელებს ცხედარი არ გაატანა.

აფეთქება ფონიჭალაში

ნგრევას 30 წლის დედისა და მისი 1 წლის შვილის სიცოცხლე შეეწირა

გუშინ, 15 ნოემბერს, ფონიჭალაში №23 კორპუსის მესამე სართულზე, ერთ-ერთ ბინაში აფეთქება მოხდა. შემთხვევის შედეგად მრავალსართულიანი კორპუსი ნაწილობრივ დაინგრა.

აფეთქება შენობის მესამე სართულზე, საცხოვრებელ ბინაში მოხდა. დაშავდა 3 ადამიანი. ისინი დამწვრობის ცენტრის რეანიმაციულ განყოფილებაში მოათავსეს.

დაშავებულები არიან 44 წლის მამაკაცი, მისი 24 წლის შვილი და 6 წლის შვილიშვილი.

– ჩემი ახლობელი ცხოვრობდა მეორეზე. პატარა ბავშვი ჰყავს და წაიყვანა სასწრაფომ. დამწვარია ბავშვიო. მეორე მცირეწლოვანიც არის დაშავებული, როგორც ამბობენ. მეორეზე ცხოვრობდნენ ჩემი ახლობლები, მესამეზე მოხდა აფეთქება, – განაცხადა ერთ-ერთმა თვითმხილველმა.

ადგილობრივებმა თქვეს, რომ იმ ბინიდან, სადაც აფეთქება მოხდა, მაშველებმა მამაკაცები გამოიყვანეს, თუმცა რა დაზიანებები აქვთ მათ, მეზობლებისთვის უცნობია.

აფეთქება, სავარაუდოდ, ბუნებრივი აირის გაჟონვამ გამოიწვია.

მოგვიანებით გაირკვა, რომ აფეთქების შედეგად საცხოვრებელი კორპუსის მე-2 სართულიდან სამშენებლო ფილა ჩამოვარდა, რომლის ქვეშ დედა-შვილი მოყვნენ.

სამაშველო სამსახურმა მათი ინტენსიური ძებნა დაიწყო. ადგილზე მივიდნენ მათი ოჯახის წევრები. ისინი კორპუსში შესვლას ითხოვდნენ, მაგრამ, უსაფრთხოებიდან გამომდინარე, მათ შენობაში შესვლის საშუალება არ მისცეს, რასაც მცირე დაპირისპირებაც მოჰყვა.

რამდენიმე საათის განმავლობაში მიმდინარე სამძებრო სამუშაოების შემდეგ მაშველებმა სამშენებლო ფილის ქვეშ მოყოლილი დედაშვილი, 30 წლამდე ქალი და 1 წლის ბავშვი, გარდაცვლილი იპოვეს.

მათი ცხედრები პროზექტურაში გადაასვენეს.

ზემო ფონიჭალაში, 23-ე კორპუსში სავარაუდოდ, ბუნებრივი აირის აფეთქების შედეგად სამი ადამიანიც დაშავდა.

ფონიჭალაში იმყოფებოდა დედაქალაქის მერი კახა კალაძე, რომელმაც ცრემლები ვერ შეიკავა, როდესაც ეს ინფორმაცია დაადასტურა:

– ძალიან დიდი უბედურება და ტრაგედია დატრიალდა, გარდაცვლილია ორი ადამიანი, დედა და პატარა შვილი.

სამხედრო მოსამსახურე ლ.ბ. საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურე საკუთარ საცხოვრებელ სახლში გარდაცვლილი იპოვეს.

„საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების დასავლეთ სარდლობის რადიოკავშირების ცალკეული ასეულის მე-2 სარეტრანსლაციო ჯგუფის რადიოოპერატორის, 1989 წელს დაბადებულ რიგით ლ.ბ.-ს გარდაცვალების გამო.

საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურე ლ.ბ. მიმდინარე წლის 14 ნოემბერს დათხოვნაში ყოფნის დროს საკუთარ საცხოვრებელ სახლში გარდაცვლილი იპოვეს.

გამოძიება შინაგან საქმეთა სამინისტროს ხონის რაიონულმა სამმართველომ სსკ-ის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო უსამძიმრებს გარდაცვლილის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

დაკრძალვის ხარჯებს თავდაცვის სამინისტრო დაფარავს“ – აღნიშნულია თავდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ზუგდიდში ახალგაზრდა მამაკაცი დაჭრეს

ზუგდიდში ახალგაზრდა მამაკაცი ცივი იარაღით დაჭრეს.

ინციდენტს წინ ურთიერთშელაპარაკება უძღოდა. მამაკაცს ჭრილობა გულ-მკერდის არეში აქვს მიყენებული. დაშავებული ზუგდიდის რეფერალურ საავადმყოფოშია გადაყვანილი. მას გვიან ღამით გადაუდებელი ოპერაცია ჩაუტარდა. ექიმების ინფორმაციით, პაციენტის მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა და ის რეანიმაციაში რჩება.

გამოძიება განზრახ მკვლელობის მცდელობის მუხლით მიმდინარეობს.

ქუთაისში მღვდლის სამოსში ჩაცმულმა კაცმა 3 წლის ბავშვის გატაცება ცადა

სოციალური ქსელის ერთ-ერთი მომხმარებელი ნინო ძოწენიძე ქუთაისში, ქალაქის ერთ-ერთ სავაჭრო ცენტრში მომხდარი ფაქტის შესახებ წერს და მშობლებს სიფრთხილისაკენ მოუწოდებს.

„ჩემმა მეგობარმა შოკისმომგვრელი ინფორმაცია მომაწოდა. ორიოდე დღის წინ ქალაქში, თუ არ ვცდები, ერთ-ერთ სავაჭრო ცენტრში, დედას რამდენიმე წუთით შვილი თვალთახედვიდან მიემალა, დაიწყეს პატარას ძებნა, ხალხი შეშფოთდა.

უეცრად დაინახეს, 3 წლის ბიჭუნასთვის მღვდლის სამოსში ჩაცმულ (თუ გადაცმულ) ახალგაზრდა კაცს ჩაევლო ხელი და სადღაც მიარბენინებდა. როგორც კი მიხვდა, რომ შენიშნეს, ბავშვი მიატოვა და თავქუდმოგლეჯილი გაიქცა.

ეს მოხდა ქუთაისში, დღისით, მზისით“, – ამბობს ძოწენიძე.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.

☎ 230 62 52; 599 16 10 82

ჯეიმს კლეპერი: „რუსეთი ამერიკისთვის უპირველეს საფრთხეს წარმოადგენს“

აშშ-ის ნაციონალური დაზვერვა სერიოზული კანტორაა და მისი ანალიზი ზუსტია. გამოცდილი პროფესიონალია ამ უწყების ექსშეფი ჯეიმს კლეპერიც, რომელიც აცხადებს, რომ რუსეთი აშშ-თვის უპირველეს საფრთხეს წარმოადგენს.

დაზვერვის ყოფილი შეფი ხაზს უსვამს, რომ ჩინეთი სადღეისოდ ამერიკასთან კონფრონტაციისთვის მზად არ არის. რუსეთის ეკონომიკა დაღმა მიექანება, ჩინეთის ეკონომიკა იზრდება, მაგრამ დღეს პირველი საფრთხე მაინც რუსეთია.

– ჩინეთი სერიოზული პრობლემა 2024-25 წლებისთვის გახდება. დღეს მთავარი საფრთხე მოსკოვიდან მომდინარეობს, – ამბობს კლეპერი.

ის ხაზს უსვამს, რომ რუსეთს ამერიკის ტერიტორიაზე ფართო და განშტოებული აგენტურული ქსელი აქვს. ეს საშუალებას აძლევს მოსკოვს, აშშ-ის წინააღმდეგ მისსავე ტერიტორიაზე აგრესიული სპეცოპერაციები აწარმოოს.

– აშშ-ის ტერიტორიაზე მყოფი რუსეთის მოქალაქეების უმრავლესობა, რომელთაც კავშირი აქვთ რუსეთის საელჩოსთან, ამა თუ იმ ფორმით შპიონაჟში არიან ჩართული, – თქვა კლეპერმა.

დაზვერვის ექსშეფი თვლის, რომ რუსეთი მთელი მსოფლიოს მასშტაბით ცდილობს ანტიამერიკული კოალიციის შექმნას. ეს ფრიად მტკივნეულად წარმოჩნდა ახლო აღმოსავლეთში, სადაც იკვეთება ალიანსი რუსეთი-სირია-ირანი. კლეპერი ყურადღებას ამახვილებს პროექტ „ჩრდილოეთის ნაკად-2“-ზე. მისი აზრით, ეს უფრო პოლიტიკური პროექტია, ვიდე ეკონომიკური.

– პუტინი ცდილობს, შექმნას კვანძი მოსკოვი-ბერლინი. თუ მან ეს შეძლო, ამას ევროპაში ამერიკელთა გავლენის შემცირება მოჰყვება, – განაცხადა კლეპერმა.

ის აშშ-ის ხელისუფლებას მეტი გაბედულებისკენ მოუწოდებს. კლეპერი კმაყოფილებას გამოთქვამს იმით, რომ ეპოქა, როცა პუტინ-ტრამპის შეთანხმება შეიძლებოდა, წარსულს ჩაბარდა. ახლა ვაშინგტონში აღარავინ დავობს იმაზე, რომ რუსეთი სერიოზული საფრთხეა და მისი განეიტრალება აუცილებელია.

– ტრამპის ადმინისტრაციას დღეისთვის უკვე გააჩნია სტრატეგია და ტაქტიკა იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება რუსული საფრთხის განეიტრალება. ეს სწორი ტაქტიკაა, – მიიჩნევს კლეპერი.

მისი აზრით, რუსებს მხოლოდ ძალის ენა ესმით.

– თუ დარწმუნდებიან, რომ ამერიკელები მტკიცედ დგანან, უკან დაიხევენ. სიტყვები ბირთვული იარაღის გამოყენების ან მესამე მსოფლიო ომის დაწყების თაობაზე ბლეფია! პუტინი ამაზე წამსვლელი არ არის, – განაცხადა კლეპერმა.

დიდი ბრიტანეთის მინისტრი ბრექსიტის საკითხებში დომინიკ რააბი გადადგა

ტერეზა მეის უნდობლობა ემუქრება

ბრიტანეთის პრემიერმა ტერეზა მეიმ ბრიუსელთან ბრექსიტის თაობაზე შეთანხმებას მიაღწია. მან ისიც შეძლო, რომ ამ შეთანხმების ეფექტურობაში თავისი კაბინეტის წევრები დაარწმუნა.

განსხვავებული ვითარებაა კონსერვატორულ პარტიასა და პარლამენტში. იქ დომინირებს მოსაზრება, რომ ხსენებული შეთანხმება არასიცოცხლისუნარიანია. ამიტომ შესაძლოა, პარლამენტმა მეის უნდობლობა გამოუცხადოს.

ამასობაში დიდი ბრიტანეთის მინისტრი ბრექსიტის საკითხებში დომინიკ რააბი დიდი ბრიტანეთის ევროკავშირთან შეთანხმებაზე არსებული უთანხმოებების გამო თანამდებობიდან გადადგა.

– მე გადავდექი დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლის საკითხებზე მინისტრის პოსტიდან. სუფთა ნამუსით ვერ დავუჭერ მხარს პირობებს, რომლებიც წარდგენილია ევროკავშირთან შეთანხმებაში, – დაწერა დომინიკ რააბმა „ტვიტერის“ საკუთარ გვერდზე.

მისივე თქმით, ის მხარს ვერ დაუჭერს აღნიშნულ შეთანხმებას, ვინაიდან ჩრდილოეთ ირლანდიისთვის შეთავაზებული ნორმატიული რეჟიმი რეალურ საფრთხეს წარმოადგენს გაერთიანებული სამეფოს ტერიტორიული მთლიანობისთვის.

– მე ასევე მხარს ვერ დავუჭერ დროში განუსაზღვრელ შეთანხმებას ბექსტოპის რეჟიმზე, რომლის თანახმად, ჩვენი ამ შეთანხმებიდან გასვლა შეზღუდული იქნება ევროკავშირის ვეტოს უფლებით, – განაცხადა დომინიკ რააბმა.

პოლონეთის თავდაცვის მინისტრი ვაშინგტონში ჩავიდა

პოლონეთის თავდაცვის მინისტრი ბლაშჩაკი ვაშინგტონში ჩავიდა. ის აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა, გენერალმა მატისმა მიიღო. მოლაპარაკების ძირითადი თემა პოლონეთში მსხვილი ამერიკული ბაზის მშენებლობა იყო. იქ დამატებითი ამერიკული კონტინგენტის განთავსებაა დაგეგმილი.

ბლაშჩაკმა განაცხადა, რომ პოლონეთის მთავრობა უაღრესად დაინტერესებულია ამ ბაზის მშენებლობით და მზადაა, საამისოდ 2 მილიარდი დოლარი გაიღოს. მატისმა პოლონელების ამ პოზიციის გამო კმაყოფილება გამოთქვა. გენერალმა გამოთქვა იმედი, რომ ბაზა აუცილებლად აშენდება.

– მას ტრამპის სიმაგრეს დავარქმევთ, – თქვა მატისმა.

მიუხედავად ამისა, ბაზის აშენებაზე საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული. აშშ-ში ბაზის აშენებას როგორც მომხრენი, ასევე მოწინააღმდეგენიც ჰყავს. ეს უკანასკნელნი აცხადებენ, რომ ხსენებული ბაზის აშენებით ამერიკელი ჯარისკაცები რუსების სამიზნედ გადაიქცევიან.

გენერალი მატისი ამას კატეგორიულად არ ეთანხმება. პრეზიდენტ ტრამპის პოზიცია ჯერჯერობით უცნობია.

გერჰარდ შრიოდერი საიტ „მიროტვორეცში“ შეიტანეს

გერმანიის ყოფილი კანცლერი შრიოდერი, რომელიც ახლა გაზპრომში მუშაობს და პუტინის თავგამოდებული ფანია, უკრაინელებმა საიტ „მიროტვორეცში“ შეიტანეს.

ეს საიტი 2014 წელს შეიქმნა. მის სიებში უკრაინული სახელმწიფოს მტრები შეჰყავთ.

შრიოდერი მოსკოვის აგრესიულ პოლიტიკას მუდამ ამართლებდა. შეკითხვაზე, თვლით თუ არა, რომ ყირიმი ანექსირებულია, მან მიუგო:

– როგორ გგონიათ, პუტინი რომც წავიდეს, ნებისმიერი რუსი პრეზიდენტი ყირიმის უკრაინისთვის დაბრუნებას დათანხმდება? მოდით, სიმართლეს თვალებში შევხედოთ. ყირიმი უკვე რუსეთია. ეს არ შეიცვლება და ამის არაღიარება დაუშვებელია!

შრიოდერი „მიროტვორეცის“ სიებში მოხვდა. ამან გერმანიის მთავრობა აღაშფოთა. საგარეო საქმეთა სამინისტრომ კატეგორიულად მოითხოვა, რომ ჩანაწერი შრიოდერზე დაუყოვნებლივ ამოიღონ.

ბერლინი: ინციდენტი რუსეთის საელჩოსთან

ბერლინში რუსეთის საელჩოსთან ინციდენტი მოხდა. შენობასთან პოლონეთისნომრიანი ავტომანქანა გაჩერდა. იქიდან მამაკაცი გადმოვიდა და საელჩოში შესვლა ცადა. შემოწმებისას გაირკვა, რომ ხსენებული პირი პოლონეთში ძებნაში იმყოფებოდა. პოლიციამაც ის დააკავა.

მანქანის ჩხრეკისას იქ ასაფეთქებელი ვერ აღმოაჩინეს. სამაგიეროდ, მანქანაში იყო დანა და ხელკეტი.

ხსენებული პირი პოლიციაში წაიყვანეს. მიმდინარეობს გამოძიება.

ჰაშოგის მკვლელებს სიკვდილით დასჯიან

საუდის არაბეთში გრძელდება იმ პირთა დაკავება, ვინც ჟურნალისტ ჰაშოგის მკვლელობაშია ეჭვმიტანილი. დაკავებულთა რაოდენობამ 18-ს მიაღწია.

საუდის არაბეთის ხელისუფლება აცხადებს, რომ დაკავებულთაგან ხუთი, სავარაუდოდ, დამნაშავეა და, თუ ეს დადასტურდა, მათ სიკვდილით დასჯიან.

ოფიციალური ელ-რიადი ჰაშოგის მკვლელობაში მონაწილეობას უარყოფს.

ევროსასამართლომ ნავალნის შევიწროება დაგმო

ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლომ დაგმო რუსული ოპოზიციის ლიდერ ნავალნის შევიწროების ფაქტები.

როგორც ცნობილია, ხელისუფლება ცდილობდა, ნავალნის ევროპაში გამგზავრებისათვის ხელი შეეშალა.

– ეს სხვა არაფერია, თუ არა დევნა პოლიტიკური მოტივებით, – ნათქვამია ევროსასამართლოს განჩინებაში.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

განცხადებები

სხვადასხვა

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

მანჩესტერი მცველებს ეძებს

მანჩესტერ იუნაიტედის პორტუგალიელი დამრიგებელი ჟოზე მოურინიო დარწმუნებულია, რომ ზამთრის სატრანსფერო ფანჯარაზე დაცვის ხაზს აუცილებლად გააძლიერებს.

ბრიტანული მედიის ცნობით, იანვარში ჟოზესთვის მთავარი პრიორიტეტი სწორედ დაცვის ხაზის ცენტრალური მონაკვეთის გაძლიერება იქნება.

მოურინიოს აზრით კი ამისთვის 2 იდეალური კანდიდატურაა მილან შკრინიარი, რომელიც ამჟამად მილანის ინტერის ღირსებას იცავს და ისევ ტობი ალდერვეირელდი რომელიც ტოტენჰემის განკარგულებაშია. ისევ იმიტომ, რომ ალდერვეირელდის გადაბირებას ჟოზე გასულ ზაფხულში ცდილობდა.

აღსანიშნავია, რომ „წითელი ეშმაკების“ ხელმძღვანელობამ ზაფხულში მოთხოვნილი ცენტრალური მცველების ყიდვა არ ისურვა რადგან მათი აზრით ჟოზე მოურინიოს გუნდში არსებული რესურსი უნდა გამოეყენებინა.

ამ ვარიანტებიდან სადღეისოდ დღეს უფრო რეალური ალდერვეირელდია, რადგან შკრინიარის აგენტმა გააკეთა განცხადება და თქვა, რომ მისი კლიენტი ინტერში ბედნიერია და მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე კონტრაქტი 2022 წლამდე აქვს, ის ამ კონტრაქტის კიდევ უფრო გახანგრძლივებას აპირებს.

პერიოდულად გუნდის მხრიდან არის ხოლმე მოთხოვნა, როდესაც ფეხბურთელი აპირებს კლუბის დატოვებას, რომ მან გააფორმოს ახალი კონტრაქტი იმ მიზეზით, რომ უფასოდ არ ჩაიგდოს მყიდველმა გუნდმა ესა თუ ის ფეხბურთელი. თუმცა ეს სრულიად სხვა შემთხვევაა და, დიდი ალბათობით, შკრინიარი გაქრება იუნაიტედის რადარებიდან.

ჩაკვეტაძე – ტალანტი რთული გვარით

ამ სტატიის დაწერა ანდორა-საქართველოს გუშინდელ მატჩამდე მოგვიწია. ერთა ლიგის მე-5 ტურის შეხვედრა გუშინ გვიან ღამით დასრულდა. ამ მატჩის დეტალურ მიმოხილვას მოგვიანებით შემოგთავაზებთ, მანამდე გეტყვით, რომ შეხვედრას ბარსელონის სკაუტები უნდა დასწრებოდნენ, რომლებიც გიორგი ჩაკვეტაძეს დააკვირდებოდნენ – ქართველ ტალანტს, რომელზეც ევროპული მედია უკვე ბევრს საუბრობს.

ერთ-ერთმა პორტუგალიურმა გამოცემამ ჩაკვეტაძეს სტატია მიუძღვნა სათაურით – ნამდვილი ტალანტი ენის გასატეხი გვარით.

– ჩაკვეტაძე, ჩ-ა-კ-ვ-ე-ტ-ა-ძ-ე... გიორგი ჩაკვეტაძე. გვარი ცოტა ძნელად წარმოსათქმელია, მაგრამ უახლოეს წლებში იმდენჯერ გავიგებთ, რომ მისი დამახსოვრება პრობლემა არ იქნება. ეს „ბავშვი“ ჯერ 19 წლისაა, 1999 წლის აგვისტოში დაიბადა. მან თავი ბელგიის ჩემპიონატში წარმოაჩინა. ეს ლიგა ახალგაზრდა ტალანტებისთვის საუკეთესოა. ქართველი ფეხბურთელი გენტმა თბილისის დინამოსგან 1.5 მილიონ ევროდ შეიძინა. ჩაკვეტაძეს ახლა საუკეთესო სეზონი აქვს. მან უკვე წინა სეზონზე მეტი ითამაშა ახალ სეზონში და 1.000 წუთს გადაცდა.

ჩაკვეტაძე ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდაა, თუმცა უკვე აქვს პირველი სრულყოფილი კარგი სეზონი მაღალი დონის ლიგაში. მისი სტატისტიკა იმდენად შთამბეჭდავია, რომ საეჭვოა, ბელგიურმა კლუბმა შეძლოს მისი 2020 წლამდე გაჩერება, როგორც ეს კონტრაქტით გათვალისწინებულია.

ქართველი შემტევი ნახევარმცველია, მას ცენტრში და მარცხნივ შეუძლია თამაში და „მკვლელი“ შეტევები აქვს. ბურთით მას თითქმის ყველაფრის მაღალ დონეზე შესრულება შეუძლია. ის დაბადებით შემქმნელია, 90 წუთში საშუალოდ 1.7 ისეთ რეიდს აკეთებს, რომლის დასრულებაც გოლით მართებთ, საშუალოდ 0.5-ჯერ კი, თავად შეუძლია გოლის გატანა. ეს ამ ასაკში ნეიმარის, მესის ან დე ბრუინის დონის სტატისტიკაა. თუმცა გიორგის უპირატესობა მხოლოდ „ბოლო პასი“ არ არის – მეტოქის მესამედზე მისი პასების სიზუსტე 77%-ია.

მიუხედავად იმისა, რომ 183 სმ სიმაღლისაა, საკმაოდ მოძრავია, მას შეუძლია სიჩქარისა და კურსის შეცვლა, შეუძლია ბურთით სწრაფად მოძრაობა. 90 წუთში 2.2 დრიბლინგი ამის ნათელი დასტურია. აქედან გიორგის დრიბლინგის ნახევარზე მეტი მეტოქის მესამედზე აქვს შესრულებული.

მიმდინარე სეზონში მის ანგარიშზე უკვე 7 გოლია, აქედან 4 გენტში, 3 ნაკრებში. 90 წუთში საშუალოდ 2.1-ჯერ ურტყამს მეტოქის კარში, აქედან 1.2 დარტყმა ზუსტია. ის ძირითადად მარცხენა ზონიდან შედის ცენტრში და იქიდან ურტყამს. ზუსტად ასე გაიტანა უეფას ერთა ლიგის ისტორიული, პირველი გოლი ჩაკვეტაძემ. დარტყმების 54% საჯარიმოს ზონიდან მოდის, 27% – შორეულ დარტყმებზე. მისთვის მარცხენა შემტევის პოზიცია იდეალურია. თუმცა, მოსამატებელი აქვს უბურთოდ თამაშში – მხოლოდ 0.5 ჩაჭრა და 1.5 ართმევა 90 წუთში.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ მის გამო სხვამ მეტი უნდა იმუშავოს დაცვაში. ეს შესაძლოა, მომავლის ტრანსფერში ხელისშემშლელი ფაქტორი გახდეს, რადგან დიდი კლუბების უდიდესი ნაწილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ პრესინგსა და მაღალ ტემპს, ეს მათთვის ფუნდამენტური საკითხია.

მაგრამ მის ასაკში თამაშში სისუსტეები ძალიან ჩვეულებრივი მოვლენაა. ის ხომ პირველ სრულ სეზონს ატარებს კარგ ლიგაში. მაგრამ ის, რაც მას ბურთით შეუძლია გააკეთოს, მეტყველებს გიორგის უდიდეს პოტენციალზე. მას აქვს ყველაფერი იმისთვის, რომ კლუბი და ნაკრები იმ დონეზე აიყვანოს, როგორზეც არასოდეს ყოფილა, რაც კარგად გამოჩნდა საქართველოს ნაკრების წარმატებული სტარტით უეფას ერთა ლიგაზე. ის უკვე საკმაოდ პოპულარულია, რომ მისი სახელის დამახსოვრება არ გაგვიჭირდეს.

სამი სინჯის მედალი და გუნდური პირველი ადგილი ბუქარესტიდან

ქართველმა ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა ბუქარესტში გამართულ მსოფლიოს 23-წლამდელთა ჩემპიონატზე პირველ დღეს მოპოვებულ 2 ოქროს კიდევ 3 მედალი წაამატეს და სამივე სხვადასხვა ხარისხის.

ოქროებს ირგუნა გელა ბოლქვაძემ (82 კგ), რამაზ ზოიძე (72 კგ) ფინალში დამარცხდა და ვერცხლს დასჯერდა, გიორგი მელიამ (97 კგ) კი, მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა. საქართველოს ნაკრებმა კი 5 მედალი მოიპოვა და საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავა.

ბოლქვაძემ საჩემპიონო ბრძოლაში რუმინელი მეტოქე ოჟოგი ბოლო ილეთის უპირატესობით დაამარცხა (3:3). ფინალამდე კი გელამ ჩინელ ქიანს (5:1), ბელარუს კლიმოვიჩსა (1:1) და იაპონელ ცურუდას (5:1) აჯობა.

ზოიძემ ფინალის გზაზე 4 მეტოქე ჩამოიშორა: ირანელი არსლანი (12:4), უზბეკეთის ნაკრების წევრი ვარდანიანი (11:6), რუსეთის სახელით მოჭიდავე ოგანიანი (4:3) და ყაზახი კისიმეტოვი (7:5). ფინალში კი თურქ არსლანს დაუპირისპირდა და მინიმალური სხვაობით (1:2) დამარცხდა.

მელიამ (97 კგ) ყაზახი სირლიბაის (3:2), ლიეტუველი ფრიდრიკასისა (7:6) და გერმანელი ცირნის (9:0) ძლევის შემდეგ, უმაღლესი ტიტულისთვის ბრძოლის შანსი ნახევარფინალში რუს გოლოვინთან (0:9) დაკარგა. რეპეშაჟის ფინალში კი იტალიის სახელით მოჭიდავე ნიკოლოზ კახელაშვილს დაეჭიდა და 3:1 მოუგო.

საქართველოს ნაკრები სამოასთან შეცდომების გამოსწორებას ეცდება

ფლორენციაში იტალიასთან წაგებული მატჩის შემდეგ შინ დაბრუნებული საქართველოს მორაგბეთა ნაკრები „შევარდენის“ სანაკრებო ბაზაზე დაბანაკდა და ნოემბრის ტესტების მომდევნო 2 შეხვედრისთვის ემზადება.

მილთონ ჰეიგის შეგირდები 17 ნოემბერს, 18 საათზე „ავჭალაზე“ სამოას დაუპირისპირდებიან. მანამდე მედიისა და გულშემატკივრებისთვის ღია ვარჯიში გამართეს. ინტენსიური ვარჯიში დაახლოებით 1 საათი და 20 წუთი გაგრძელდა.

ნაკრების დაცვის მწვრთნელი ლევან მაისაშვილი ამბობს, რომ გუნდის მთავარი მიზანი დაშვებული შეცდომების გამოსწორებაა:

– ერთია რას თამაშობს იტალია და სამოა, მაგრამ ჩვენ ჩვენი სათამაშო სტილი გვაქვს. დიდი როტაცია არ იქნება და მხოლოდ მცირე ტაქტიკური ცვლილებებით შემოვიფარგლებით. შევეცდებით დავხვეწოთ დეტალები და ის, რაც არ გამოგვივიდა იტალიასთან, კარგად შევასრულოთ სამოასთან. სამწუხაროდ, კვლავ გვაკლია ტრავმირებული მორაგბეები, რომელთა რიცხვს სოსო მათიაშვილი დაემატა.

ბორჯღალოსანმა ლაშა ლომიძემ აღნიშნა, რომ იტალიასთან გამარჯვებისთვის გამოცდილება არ გვეყო:

– იტალიასთან დასანანი თამაში წავაგეთ. ძალიან ბევრი შეცდომა დავუშვით. დასკვნით 20 წუთში 2 ლელოს გატანა შეგვეძლო, რაც სამწუხაროდ ვერ მოვახერხეთ. ეს გამოუცდელობის შედეგი იყო. წინ ძალიან მაგარი თამაში გველოდება. ამიტომ, უნდა დავივიწყოთ იტალიასთან მატჩი და გამოვასწოროთ ყველა შეცდომა. სამოა ძალიან კარგი გუნდია, ინდივიდუალურად ბრწყინვალე შემსრულებლები ყავთ და მათ ჩვენი სისტემა და ერთობლიობა უნდა დავუპირისპიროთ.

2-წლიანი პაუზის შემდეგ ნაკრებს დაუბრუნდა დუდუ ქუბრიაშვილი, რომელიც იმედოვნებს, რომ სამოასთან თამაშის ხარისხი უკეთესი იქნება:

– შერკინება, სტატიკური მდგომარეობები ჩვენი პლუსია და ვეცდებით ამ კომპონენტში უპირატესობა მოვიპოვოთ. სამოას დიდი, ინდივიდუალურად ძლიერი ბიჭები ყავს და მთელი კვირის განმავლობაში სპეციფიკური ვარჯიშები გვაქვს. მოხარული ვარ, რომ 2-წლიანი პაუზის შემდეგ ჯანმრთელობამ ნაკრებში დაბრუნების შესაძლებლობა მომცა. სამწუხაროდ, თამაში ჩვენ რომ გვინდოდა ისე ვერ წავიდა და შედეგიც ისეთი ვერ დადგა, როგორიც გვსურდა.

მათიაშვილის ტრავმის შემდეგ, ბორჯღალოსანთა რიგებში დებიუტი ექნება თედო აბჟანდაძეს, რომელიც გულშემატკივარს თანადგომისთვის გამარჯვებას ჰპირდება:

– სამოა ფიზიკურად და ტაქტიკურად ძლიერი გუნდია, რომელსაც ჩვენი პლუსები უნდა დავუპირისპიროთ. გვაკლია რამდენიმე წამყვანი მოთამაშე და დებიუტანტები, ასევე შედარებით ახალბედა მოთამაშეები ამ დანაკლისის შევსებას ვეცდებით. პირადად მე ვეცდები, რომ ეროვნულ ნაკრებში რაც შეიძლება კარგი დებიუტი მქონდეს. ძალიან დიდი მადლობა გულშემატკივარს, რომელიც გვერდში გვედგა. მაქსიმუმს გავიღებთ, რათა ისინი სამოასთან გამარჯვებით გავახაროთ.

თიბისი რაგბის სერიები 2018-ის რიგით მეორე და პირველ საშინაო მატჩის მეტოქე უკვე თბილისშია და შაბათის რკენისთვის ემზადება.

სამოას კუნძულებზე რაგბი ყველაზე პოპულარული სპორტია და ამ ქვეყნის ნაკრებს, რომელსაც ზედმეტსახელ „მანუ სამოათი“ (გულადი სამოა) იცნობენ, ხშირად აქვს პატივი, ბობოლა სარაგბო ქვეყნებს ეთამაშოს. ერთ დროს ის მსოფლიო რეიტინგის ათეულის მკვიდრი წევრი იყო და სწორედ მაშინ შეძლო საქართველომ მეტოქის დამარცხება. ეს 2013 წლის 23 ნოემბერს, „მიხეილ მესხზე“ მოხდა და ბორჯღალოსნებმა პირველად შეძლეს „დიდი ათეულის“ (იმ მომენტისთვის სამოა მსოფლიო რეიტინგში მე-7 ადგილზე იყო) წარმომადგენლის დამარცხება – 16:15.

მანამდე, გუნდების გზები პირველად 2003 წლის მსოფლიო თასზე გადაიკვეთა და მაშინ მეტოქემ 46:9 იმარჯვა. თუმცა, მას შემდეგ ბორჯღალოსნებმა მეტოქე ორჯერ დაამარცხეს და ერთხელ ფრედ ეთამაშნენ. 2016 წლის წყნარი ოკეანის ტურნეს დროს, მეტოქეს აპიაში – 19:19, ხოლო იმავე წლის ნოემბერში კვლავ მესხზე 20:16 ვძლიეთ. ამრიგად, დღეისათვის ურთიერთშეხვედრების ბალანსი ჩვენს სასარგებლოდაა – 2 მოგება, 1 ფრე და 1 მარცხი.

სამოაში რაგბი ფრანგმა ძმებმა მარისტებმა 1920 წელს დანერგეს, 1924 წელს კი, დასავლეთ სამოას რაგბის კავშირი დააარსეს. იმავე წელს, ნაკრებმა თავისი პირველი საერთაშორისო შეხვედრა გამართა, აპიაში ფიჯის უმასპინძლა და საკუთარი გულშემატკივრების თვალწინ 0:6 დამარცხდა. აღსანიშნავია, რომ თამაში გამთენიისას გაიმართა, რათა სამოელებს სამუშაოზე წასვლა მოესწროთ. საპასუხო მატჩში სამოამ რევანში აიღო და თავისი პირველი გამარჯვება მოიპოვა – 9:3.

სამოამ, რომლის მოსახლეობაც 200.000 ადამიანს არ აღემატება, პირველი დონის სარაგბო ქვეყნების ნაკრებებთან რამდენიმე სახელოვანი გამარჯვება მოიპოვა. 1991 წელს კუნძულელებმა უელსი 16:13 და არგენტინა 35:12 დაამარცხეს; 1994 წელს უელსი 34:9; 1995 წელს იტალია 42:18 და არგენტინა 32:26; 1996 წელს ირლანდია 40:25; 1999 წელს უელსი 38:31; 2000 და 2001 წლებში იტალია 43:24 და 17:9; 2005 წელს არგენტინა 28:12; 2011 წელს ავსტრალია 32:23; 2012 წელს უელსი 26:19; 2013 წელს შოტლანდია 27:17 და იტალია 39:10; 2014 წელს იტალია

გაგრძელება მე-10 გვერდზე

იუვენტუსი ახალგაზრდა იტალიელების დამატებას ფიქრობს

ტურინის იუვენტუსი იტალიური ტრიოს მიმართ სერიოზულ ინტერესს იჩენს: საუბარი ეხება „სკუადრა აძურის“ რიგებში გამოძახებულ ფედერიკო კიეზას, ნიკოლო ბარელასა და სანდრო ტონელის.

კიეზასთვის ამ ეტაპზე იუვეს გარდა დაინტერესებას ინტერი და ნაპოლიც გამოხატავენ. ფლორენციელები ახალგაზრდა ტალანტს 60 მილიონად აფასებენ. ბარელას შემთხვევაში საქმეში ტურინელთა გარდა ისევ და ისევ „ნერაიძური“ ფიგურირებს და მისი საორიენტაციო ღირებულება 40 მილიონამდეა. ტონელიზე კი, ჯერჯერობით, კონკრეტული ფასი არ სახელდება.

აღსანიშნავია, რომ სერია ა-ს ბოლო ტურში მილანთან დაპირისპირებისას მინდორზე კიელინის სახით იუვეს მხოლოდ ერთი იტალიელი ფეხბურთელი ჰყავდა და როგორც ირკვევა, კლუბის სპორტული დირექტორი პარატიჩი მომავალი სეზონისთვის ამ მიმართულების შეცვლას გეგმავს.

იგეგმება შემადგენლობის უფრო გაახალგაზრდავება და იტალიური გვარდიის დამატება. იუვე ამ მხრივ ყოველთვის იყო მოწინავე იტალიაში და პარატიჩი, გამორჩეული აპენინელების დასამატებლად, გარკვეული სვლების განხორციელებას გეგმავს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ქართველების ოთხი გამარჯვება

ზაზა ფაჩულიას დეტროიტმა მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა. მიჩიგანელები აღმოსავლეთ კონფერენციისა და ლიგის ლიდერ ტორონტო რეპტორსს სტუმრად, კანადაში შეხვდა და საფინალო სირენის თანხლებით, რეჯი ბალოკის 2-ქულიანის შემდეგ 106:104 გაიმარჯვეს.

დეტროიტელები მესამე პერიოდის შემდეგ 11 ქულით აგებდნენ, თუმცა დასკვნით 12-წუთეულში შესაშური ბრძოლისუნარიანობა გამოავლინეს და შედეგიანი გაქცევა ბალოკის გამარჯვების ორქულიანით დაგვირგვინდა. ქართველი ცენტრი სათადარიგო იყო და მოედანზე მთლიანობაში 5 წუთით გამოჩნდა, რომლის დროსაც 3-დან 1 ორქულიანი და 1 საჯარიმო ჩააგდო. ფაჩულიამ შეხვედრა 3 ქულითა და 1 მოხსნით დაასრულა. საუკეთესო შედეგი ბლეიკ გრიფინმა დააფიქსირა, რომელმაც 30 ქულა და 12 მოხსნა მიითვალა.

7 მოგებითა და 6 მარცხით დეტროიტი აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-6 ადგილზეა, შემდეგ მატჩს კი 20 ნოემბერს, შინ „კლივლენდთან“ გამართავს.

გიორგი შერმადინის უნიკახამ ულების თასზე გასვლითი გამარჯვება მოიპოვა, რაშიც ქართველმა ცენტრმა საკუთარი წვლილი შეიტანა. მალაგელები დ ჯგუფის მე-7 ტურის მატჩში გერმანიაში სკაილაინერსს შეხვდნენ და 84:78 დაამარცხეს. ამ გამარჯვებით უნიკახამ ჯგუფიდან გასვლა გაინაღდა. შეგახსენებთ, რომ 6-გუნდიანი ჯგუფებიდან მომდევნო ეტაპზე 4-4 საუკეთესო გადის.

შერმადინი სათადარიგო იყო და მოედანზე არასრული 16 წუთით გამოჩნდა. ქართველმა ცენტრმა 6-დან 5 ორქულიანი და 1 საჯარიმო ჩააგდო, 1 სამიანი კი ააცილა. 11 ქულასთან ერთად გიორგიმ 4 მოხსნა და 1 პასი მიითვალა.

7 ტურის შემდეგ 6 მოგებით უნიკახა ყაზანის უნიკსთან ერთად ჯგუფში 1-2 ადგილებს იყოფს. მომდევნო მატჩს მალაგელები, შინ, მონტენეგროს მორნართან გამართავენ.

საქართველოს ეროვნული ნაკრების ნატურალიზებული ამერიკელი კალათბურთელი, თად მაკფადენი წარმატებულ სეზონს აგრძელებს. მისი წინამძღოლობით ესპანური ტენერიფემ ფიბა-ს ჩემპიონთა ლიგაში მორიგი, ზედიზედ მე-6 გამარჯვება მოიპოვა და ჯგუფის დაუმარცხებელი ლიდერია. ტენერიფელებმა ამჯერად ჩეხეთში ოპავას 92:70 სძლიეს.

მაკფადენი სათადარიგო იყო, თუმცა ამას მისთვის ხელი არ შეუშლია, მატჩის საუკეთესო გამხდარიყო. საქართველოს ნაკრების წევრმა 22 წუთში 19 ქულა, 3 მოხსნა, 3 პასი და 2 ჩაჭრა მოაგროვა. მაკფადენმა 8-დან 4 ორქულიანი, 4-დან 3 სამქულიანი და 3-დან 2 საჯარიმო გამოიყენა. ამგვარად, მაკფადენი მატჩის ყველაზე შედეგიანი მოთამაშე გახდა და სარგებლიანობის კოეფიციენტიც (20) ყველაზე მაღალი ჰქონდა.

ჯგუფის მორიგ შეხვედრას ტენერიფე შინ, ბერძნულ პაოკთან გამართავს.

ამერიკის სტუდენტურ ლიგაში მეორე მატჩი გამართა სანდრო მამუკელაშვილის სეტონ ჰოლმა, რომელიც ნებრასკას შეხვდა და 57:80 წააგო. ქართველი ფორვარდი სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 35 წუთი გაატარა.

მამუკელაშვილმა 9-დან 4 ორქულიანი ჩააგდო, 4-ივე საჯარიმო და 1 სამქულიანი კი ააცილა. სანდროს ანგარიშზე საბოლოოდ 8 ქულა, 12 მოხსნა, 2 დაფარება და 1 ჩაჭრა დაგროვდა.

სეტონ ჰოლს 1 მოგება და 1 მარცხი აქვს, შემდეგ მატჩს კი შინ სენტ ლუისთან გამართავს.

მომაკვდავმა ბიჭმა უკანასკნელი სურვილი აისრულა და დედა საკურთხეველთან მიიყვანა

აშშ-ში მძიმედ დაავადებულმა ბიჭმა თავისი უკანასკნელი სურვილის ასრულება მოასწრო და მან დედა მის ქორწილში ხელჩაკიდებულმა მიიყვანა საკურთხეველთან. სამი დღის შემდეგ ის გარდაიცვალა.

ოჰაიოს შტატის მკვიდრ 12 წლის ბიჭს კიტი ბარკეტს ექვსი წლის წინ აგრესიული ონკოლოგიური დაავადება დაუდგინეს – რბილი ქსოვილების სარკომა. თავდაპირველად ექიმები აცხადებდნენ, რომ ბიჭი ორ თვესაც ვერ იცოცხლებდა.

მიუხედავად ქიმიოთერაპიის მრავალრიცხოვანი კურსის ჩატარებისა, კიბოს დამარცხება ვერ მოხერხდა. ბოლო წლებში მოზარდი დახმარებას ჰოსპიტალის თანამშრომლებისგან სახლში იღებდა. ამ ყოველივეს მიუხედავად, ის დედას, ტეილორ ვუდარდს, გამუდმებით ეკითხებოდა, თუ რაში დახმარებოდა და ყველაზე უბრალო დავალებებს ასრულებდა.

როდესაც ცნობილი გახდა, რომ მისი გადარჩენა შეუძლებელი იყო, დედამ გადაწყვიტა, მისი ყველა სურვილი აესრულებინა. ოქტომბრის ბოლოს მათ შობა იდღესასწაულეს, ხოლო 9 ნოემბერს საქორწინო ცერემონია გამართეს. ინვალიდის ეტლში მყოფმა ბარკეტმა დედა საკურთხეველთან მიიყვანა, სადაც მას საქმრო ელოდა.

– ამ დღეს წარმოუდგენლად მწარე სიხარული განვიცადე, გული ემოციებით მქონდა სავსე. ჩემს ბიჭს ჩემი საკურთხეველთან მიყვანა სურდა და ჩვენ მისი ეს უკანასკნელი სურვილი ავასრულეთ, – განაცხადა ბიჭის დედამ.

საქართველოს ნაკრები სამოასთან შეცდომების გამოსწორებას ეცდება

დასაწყისი მე-9 გვერდზე

15:0. მოკლედ, სამოას ბევრი ხმაურიანი გამარჯვება აქვს მოპოვებული...

პირველი დონის გუნდებიდან დადებითი ბალანსი აქვს არგენტინასთან – 3 მოგება და 1 მარცხი, იტალიასთან – 5 მოგება და 2 მარცხი, ხოლო უელსს 6 მარცხის წილ, 4-ჯერ მოუგო. კუნძულელებს ყველა შეხვედრა აქვთ მოგებული კანადასთან, ასე იყო აშშ-სთან და „არწივებისგან“ პირველი მარცხი გასულ შაბათს, ბოლო წუთზე გაშვებული ჯარიმით იგემეს – 29:30. დადებითი ბალანსი აქვს იაპონიასთან – 11 მოგება და 4 ფრე. ამ გუნდმა ყველაზე დიდი სხვაობით პაპუა ახალი გვინეა დაამარცხა – 115:7, ხოლო თავად 2008 წელს ახალ ზელანდიასთან დამარცხდა – 14:101.

სამოა პირველ, 1987 წლის მსოფლიო თასზე მიწვეული არ იყო, მას შემდეგ კი, შვიდივე ტურნირში მონაწილეობდა. 1991 და 1995 წლებში, გუნდმა მეოთხედფინალში ითამაშა, ხოლო 1999 წელს მეოთხედფინალის შესარჩევ ფლეი ოფში. მას შემდეგ კი, ჯგუფური ეტაპის გადალახვას ვერ ახერხებდა, 2015 წლის მსოფლიო თასზე კი, ჯგუფში მხოლოდ მე-4 ადგილი დაიკავა. 2019 წლის მსოფლიო თასის შესარჩევ ეტაპზე, სამოამ წყნარი ოკეანის ჯგუფში მე-3 ადგილი დაიკავა და იაპონიის ბილეთები ევროპის მეორე გუნდთან, გერმანიასთან ფლეი ოფის მოგების შედეგად მოიპოვა.

სამოა, რომელიც დღეისათვის მსოფლიო რეიტინგში მე-17 ადგილზეა (67,61) მსოფლიო თასზე ა ჯგუფში ითამაშებს, სადაც მისი მეტოქეები ირლანდია, შოტლანდია, იაპონია და რუსეთი იქნებიან.

„მანუ სამოა“ თამაშის წინ ტრადიციულ საბრძოლო ცეკვას ასრულებს, რომელსაც „სივა ტაუ“ (დაახლოებით ზელანდიური ჰაკას მსგავსი) ეწოდება. ესაა ტრადიცია, ერთგვარი რიტუალი, რომელიც მორაგბეებს საბრძოლოდ განაწყობს და მეტოქისადმი პატივისცემას გამოხატავს. საქართველოში „სივა ტაუ“ ცოცხლად 2013 და 2016 წლებში ვიხილეთ და ამის პატივი კიდევ ერთხელ, 17 ნოემბერს გვექნება.

მშენებელმა შეძენილ ძველ კარადაში ფული იპოვა და პატრონს დაუბრუნა

რუმინეთის სოფელ ბიკიჯის მცხოვრებმა მშენებელმა ნაყიდ ძველ კარადაში 95 ათასი ევრო აღმოაჩინა.

სამუელ სტანიჩმა ნახმარი კარადა ინტერნეტით შეიძინა. რამდენიმე დღის შემდეგ მან მასში ლითონის კოლოფი შენიშნა, რომელიც 500-ევროიანი კუპიურებით სავსე აღმოჩნდა. მშენებელმა მეუღლეს დაუძახა და ნაპოვნი აჩვენა. მათ ერთად გადაითვალეს ფული და დიდხანს ვერ დამშვიდდნენ.

– ჩვენ შოკში ჩავვარდით, – განაცხადა მშენებლის მეუღლემ, – მთელი ღამე არ გვძინებია.

ისინი შიშობდნენ, რომ ეს რაიმე ხაფანგი არ ყოფილიყო და გადაწყვიტეს, ფული კანონიერი მფლობელისთვის დაებრუნებინათ. სტანიჩი ქალაქ არადში გაემგზავრა და მოძებნა ის პირი, რომელმაც მას კარადა მიჰყიდა. შემდეგ ისინი ერთად დაბრუნდნენ ბიკიჯიში.

როგორც გაირკვა, კარადა ყოფილი მფლობელის გარდაცვლილ მამას ეკუთვნოდა. მან არაფერი იცოდა ფულის შესახებ და, სტანიჩის ცოლის თქმით, საკუთარ თვალებს არ უჯერებდა, როდესაც ფული ნახა. მისი მიღების შემდეგ მამაკაცმა მშენებელი და მისი მეუღლე მათი პატიოსნებისთვის დააჯილდოვა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

16 ნოემბრისათვის

ვერძი – ნუ იქნებით აგრესიული. ეს თვისება კოლეგებთან და ახლობლებთან ურთიერთობას გაგიფუჭებთ. ამას შესაძლოა ფინანსური დანაკარგებიც მოჰყვეს. **კურო** – ძალზე ფრთხილად იყავით ფინანსური ოპერაციებისას. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს. **ტყუპები** – დღეს ნუ იაქტიურებთ. მშვიდად და თავმდაბლად იმუშავეთ. ზედმეტი მზრუნველობა ახლობლებისადმი საჭირო არ არის. **კირჩხიბი** – ძალზე იღბლიანი დღეა, განსაკუთრებით – საჯარო მოხელეთათვის. ექსპერიმენტებისგან თავი შეიკავეთ. **ლომი** – ნუ აჩქარდებით. პროფესიონალურ სფეროსა და პირად ცხოვრებაში შეცდომის დაშვების უფლება არ გაქვთ. ზედმეტი მიმნდობლობა ფინანსურად დაგაზარალებთ. **ქალწული** – თქვენი ავტორიტეტის შებღალვის უფლება არავის მისცეთ. ჯანმრთელობას მეტი ყურადღება მიაქციეთ. **სასწორი** – ხელშეკრულებების გასაფორმებლად, მივლინებებისათვის შესაფერისი პერიოდია. სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. **ღრიანკალი** – ნუ გარისკავთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. ერიდეთ ქალაქგარეთ გასვლას. **მშვილდოსანი** – სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. ეს დღე თქვენი შემოქმედებითი აღმავლობის დასაწყისია. სისუსტეს ნუ გამოიჩენთ. **თხის რქა** – ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ. ნებისმიერი ინიციატივა წარუმატებელი იქნება. **მერწყული** – წადით მივლინებაში, სამოგზაუროდ, დაისვენეთ და გაერთეთ ბუნების წიაღში. **თევზები** – ძალზე კეთილისმყოფელი დღეა. გიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა. პროფესიონალური და პირადი საკითხების გადასაწყვეტად მშვენიერი პერიოდია.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოჰდი ბ

შვეულად: 1. გამოგონების დამადასტურებელი მოწმობა; 2. მაღალხარისხოვანი მინა; 3. აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი; 4. მგალობელი ჩიტი; 5. ჯალათის ძველი ქართული სახელწოდება; 9. ხორცპროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 12. ოპერა „დაისის“ პერსონაჟი; 14. რომის პაპის წარმომადგენელი რომელიმე სახელმწიფოში; 15. ხელოვნების მუზეუმი ლოს-ანჟელესში; 17. სატანავარჯიშო იარაღი; 18. ქალის ან ბავშვის დაბალი სასიმღერო ხმა.

თარაზულად: 6. ქართული ხალხური შრომის სიმღერა; 7. ფრანგი მწერალი ქალის ჟორჟ სანდის რომანი; 8. ადვოკატი ანუ...; 10. სამეცნიერო ქალაქი რუსეთში; 11. მანათობელი მწერი; 13. სოფოკლეს ტრაგედია; 16. ავსტრიის ფეხბურთელთა გუნდი; 19. აპარატი, რომელიც განსაზღვრავს ობიექტის ადგილმდებარეობას მისგან არეკლილი ბგერითი ტალღების საშუალებით; 20. მე-16 საუკუნის პორტუგალიელი ზღვაოსანი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ჩილე; 2. უელსი; 3. აპაში; 5. ფირუზი; 6. სკვიმნია; 9. ბრანდვახტი; 10. ლუფტჰანზა; 11. კაპადოკია; 14. კია; 16. კათეტი; 18. პერო.

თარაზულად: 1. ჩხოუში; 4. რეფლექსი; 7. პლისკა; 8. შერბური; 12. ქართუ; 13. ოკრიბა; 15. სტატია; 17. ჩაი; 19. საკანდელიძე; 20. ვისლა; 21. როზეტი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ტემპერა; 2. ბრუკი; 3. ვალენსია; 4. პრატერი; 5. შინჰოფერი; 9. ავერსი; 12. კანტონი; 14. ქულამა; 15. როდა; 17. გიენა; 18. იკაო.

თარაზულად: 6. ცეზურა; 7. მაშარაბი; 8. ოპტიკა; 10. კენზო; 11. ნაცარქექია; 13. ექსპრესი; 16. ჩანგი; 19. კაბოშონი; 20. ვაპოტერო.

მიხეილ ზაქარიაშვილი: „მიგდებულია კულტურა!“

– მიგდებულია კულტურა, არსად არაფერი ტარდება და მოვა ერთი პარტია ხელისუფლებაში, რაღაც ჯგუფი მათთან ერთად გამოჩნდება, დიდი მხარდაჭერით მოვა მეორე და ახლა მათი მომღერლებისა და ხელოვანების ჯგუფი გამოჩნდება და სამარცხვინო, ხელოვანისთვის მიუღებელი მლიქვნელობით ეფერება ხელისუფლებას, რომ ლუკმაპური სამადლოდ გადაუგდონ, ამიტომაც ვერ ან, უფრო სწორად, არ აფიქსირებენ თავიანთ მოქალაქეობრივ სიმართლეს პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით! – აცხადებს მომღერალი მიხეილ ზაქარიაშვილი და პოლიტიკის გამო ჯგუფებად დაყოფილ ხელოვანებზე წუხს:

– ჩვენ ყველა ამ ქვეყანაში უნდა შევთანხმდეთ ერთ რამეზე, რომ ჩემი ასაკის ხალხი და ჩემზე ოდნავ უმცროსებიც – ყველა დავიბადეთ და გავიზარდეთ სსრკ-ს კომუნისტურ იმპერიაში, სადაც ჩაკეტილი იყო საზღვრები და უმაღლესი განათლების მიღებისთვის შეგვეძლო, მხოლოდ ამ საზღვრებში გაგვერგძელებინა სწავლა და მოღვაწეობა! ჩვენი მამები და პაპები იყვნენ კომუნისტები, ჩვენც კომუნისტების მიერ დაარსებულ სკოლებში ვსწავლობდით, ვიყავით ოქტომბრელებიც, კომკავშირელებიც და პიონერებიც, გვინდოდა ეს თუ არა და არამცდაარამც ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ ამის უნდა შეგვრცხვეს, არც იმას ნიშნავს, რომ ვინმეს ნაკლებად უყვარდა თავისი ქვეყანა. კიდევ ვიმეორებ, თუმცა ბევრს არ უნდოდა, მაგრამ სხვანაირად კარიერული წინსვლა გამორიცხული იყო!

მამაჩემიც იყო კომუნისტი და ახლა ამისი უნდა მრცხვენოდეს? იყო, მაგრამ 9 აპრილს დაწვა თავისი პარტბილეთი კიდევ უამრავ ადამიანთან ერთად! ეს იყო სიმბოლური აქტი. მათ გააპროტესტეს 9 აპრილს მომხდარი ტრაგედია და თანაც შეგნებულად თქვეს ამ ჟესტით კომუნისტურ წყობაზე უარი. მათ დააფიქსირეს ნება, რომ ჩვენ გავხდით უკვე თავისუფალი ქვეყანა და ხვალიდან უნდა გავხდეთ თავისუფალნი! აქედან იწყება ათვლა თავისუფალი ქვეყნის შვილების ყველა იმ დროს დაბადებულ-გაზრდილი ადამიანების დემოკრატიულ ქვეყანაში. ამაზე უნდა შევთანხმდეთ!

რა ხდება ახლა? ეს არის საინტერესო. გამოვედით კი ამ კომუნისტური აზროვნებიდან? მე ვფიქრობ, რომ არა! აბა რას ნიშნავს, თუ რომელიმე პარტიის წევრი არ ხარ, შენი კარიერა განწირულია მარცხისთვის. მაგალითად ჩემი პროფესია მომყავს. დააკვირდით, რა ხდება? თითოეულ პარტიას ჰყავს მხარდამჭერი მომღერლები და ხელოვანები და ამის მიხედვით წყდება, ვის გამოაჩენენ საზოგადოებაში, ვინ იმუშავებს 5 ან 10 წლის განმავლობაში და რა ქნან უპარტიოებმა? პირადად მე არ ვარ არც ერთი პარტიის წევრი და ამიტომ, ნაციონალებიდან დაწყებული, დღემდე ვზივარ სახლში და ვისმენ ჩემი კოლეგებისგან ერთმანეთის ლანძღვა-გინებას! მხოლოდ ეროვნული ხელისუფლების დროს არავის უთქვამს, ვისი მხარდამჭერი ვარ და სწორედ მაშინ დაიწყო ჩემი მოღვაწეობა ამ სფეროში!

მიგდებულია კულტურა, არსად არაფერი ტარდება და მოვა ერთი პარტია ხელისუფლებაში, რაღაც ჯგუფი მათთან ერთად გამოჩნდება, დიდი მხარდაჭერით მოვა მეორე და ახლა მათი მომღერლებისა და ხელოვანების ჯგუფი გამოჩნდება და სამარცხვინო, ხელოვანისთვის მიუღებელი მლიქვნელობით ეფერება ხელისუფლებას, რომ ლუკმაპური სამადლოდ გადაუგდონ, ამიტომაც ვერ ან, უფრო სწორად, არ აფიქსირებენ თავიანთ მოქალაქეობრივ სიმართლეს პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით!

ვიმეორებ, მხოლოდ არჩევნებზე ახსენდებათ ხელოვანთა არსებობა და მათი ოჯახები, გადაიხდიან ფულს, გამოიყვანენ რამდენიმე მხარდამჭერი კონცერტით და ეგ არის მათი კარიერა. ასეთი სამადლო, კარიერული დროებითი აღზევება მიუღებელია ჩემთვის. ამიტომაც არიან პარტიებს მიბმული ხელოვანები აგრესიულები ერთმანეთის მიმართ და იბრძვიან ამა თუ იმ პარტიის ხელისუფლებაში მოსვლისთვის! მე სხვა არაფერი ვიცი, გარდა ჩემი პროფესიისა. როგორ მოვიქცე? ამ სფეროში ყველა უმაღლესი განათლება მივიღე, რაც კი არსებობს ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ, იმის გამო, რომ არ ვარ არც ერთი პარტიის წევრი, ყველა პარტიისგან იგნორს მიკეთებდნენ ყოველთვის და მიკეთებენ დღესაც!

დასკვნა ასეთია: რით განსხვავდება დღევანდელი წყობა კომუნისტური წყობისა და აზროვნებისგან? მაშინაც აუცილებელი იყო, გამხდარიყავი პარტიის წევრი და ახლაც ჩემი პასუხი ასეთია: არაფრით განსხვავდება...

ეს უნდა დამთავრდეს! უნდა დამთავრდეს ამ ტიპის ბრალდებები, რომ შენ ეს იყავი, შენ – ის. „საქმემან შენმან გამოგაჩინოსო“ – ნათქვამია და ქვეყნისთვის სასიკეთოდ გამოთქმული აზრის, საქმისა და ბრძოლის მიხედვით თავისუფლებისთვის სწრაფვაში და ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობისთვის გადადგმული ნაბიჯებით უნდა შევაფასოთ ადამიანები და არა წინა ცხოვრებით, სადაც ყველა ერთ ტაფაში ვიწვოდით.

იური მეჩითოვმა ვიდეომიმართვა გაავრცელა და ბოდიში მოიხადა



ფოტოგრაფმა იური მეჩითოვმა სპეციალური ვიდეომიმართვა გაავრცელა და 9 აპრილთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადების გამო საჯარო ბოდიში მოიხადა:

– საშინლად გული მტკივა, რომ დიდი ტკივილი მივაყენე ჩემს თანამემამულეებს ჩემი განცხადებებით, რომლებსაც არ ჰქონდა მიზეზი, ასეთი ტკივილი მიეყენებინა სხვებისთვის, მაგრამ ასე მოხდა. გულნატკენთა შორის აღმოჩნდნენ ჩემი მეგობრებიც, რომლებიც არც ელოდნენ, რომ ასეთი რამ მოხდებოდა.

არ ვეძებ არც გამართლებას ჩემს თავში და არც ვამართლებ ჩემს თავს. ეს ტკივილი ნამდვილია. ეს ტკივილი არ მშორდება. 29 წლის წინ ჩემ თვალწინ ხდებოდა ეს ყველაფერი. მაშინ ძალიან განვიცადე, ვიყავი უამრავ პანაშვიდზე და ეს ტკივილი ახლაც შემომრჩა. სამწუხაროდ, იმ ჩანაწერიდან, ჩემი 30-წუთიანი საუბრიდან მხოლოდ 3 წუთი გავიდა და ყველაფერი სხვანაირად წარმოიშვა. წარმოიშვა ძალიან ცუდი შთაბეჭდილება ჩემს განწყობაზე ამ ნამდვილი ტრაგედიის მიმართ, სადაც ჩემი კინოსტუდიის თანამშრომლის შვილიც დაიღუპა. იქ იყო უამრავი წუხილი გამოთქმული ამ ტრაგედიის მიმართ. ეს იყო საშინელება, რასაც ვხედავდი ჩემი თვალით, იმ საშინელების მოწმე ვიყავი. ჩემი წუხილი, ცრემლი და გოდება დარჩა კადრს მიღმა, იმიტომ რომ ეს კინოა, ფილმია და ზოგი რამ სხვა რამეს ემსახურება. ისეც ხდება, რომ ბევრ რამეს იყენებენ პოლიტიკური მიზნით. ჩვენ ვიცით, რა დროს ვცხოვრობთ, როცა ყველაფერი შეიძლება გახდეს ვაჭრობის საგანი. გულწრფელი ადამიანი ვარ და, როცა მტკივა, მართლა მტკივა.

არ ვიცი, ჩემი გულწრფელი ბოდიში თუ რამენაირად შეანელებს სამართლიან რისხვას, რომელიც ვიგრძენი ჩემ მიმართ და ბევრ დებულებას ვიზიარებ, იქნება კარგი. ჩემი დღევანდელი მდგომარეობა არ არის სახარბიელო, მაგრამ, იმედი მაქვს რომ გაიგებენ ჩემს სიტუაციას და, როგორც სჩვევია ქართველ ხალხს, ისე შეხედავენ ამ მდგომარეობას.

მთავარია, ჩვენ ავაშენოთ ისეთი სახელმწიფო, სადაც ყველა ერთად ვიცხოვრებთ, კარგად და ბედნიერად.

თემურ ჩხეიძის 75 წლის იუბილე მარჯანიშვილის თეატრში მისი სპექტაკლების კვირეულით აღინიშნება



18 ნოემბერს რეჟისორ თემურ ჩხეიძეს 75 წელი უსრულდება. ამ თარიღთან დაკავშირებით რეჟისორმა უკვე მიიღო მილოცვები და საუკეთესო სურვილები, თუმცა ეს მხოლოდ დასაწყისია.

თემურ ჩხეიძის იუბილე მოზარდ მაყურებელთა თეატრში უკვე აღნიშნეს, სადაც დიდ მაესტროსთან შეხვედრა შედგა. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. სცენაზე ერთმანეთს მისი მეგობრები, კოლეგები და მოწაფეები ენაცვლებოდნენ.

თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე გიორგი გეგეჭკორმა თემურ ჩხეიძეს სპეციალურად მისთვის დამზადებული გიორგი ტოვსტონოგოვის სახელობის ჯილდო გადასცა.

თბილისის თეატრებს შორის მოზარდი იყო პირველი თეატრი, სადაც იუბილარმა რეჟისორმა სამი წლის განმავლობაში არაერთი სპექტაკლი დადგა, პირველი ნამუშევარი კი „რომეო და ჯულიეტა წყვდიადში“ იყო.

თემურ ჩხეიძის 75 წლის იუბილეს მისი სპექტაკლების კვირეულით აღნიშნავს მარჯანიშვილის თეატრი. რეჟისორი ნახევარ საუკუნეზე მეტია თეატრშია და მას სრულიად დამსახურებულად ქართული თეატრის პატრიარქი დაარქვეს... იუბილარი ხელოვანის ანგარიშზეა 100-მდე საოპერო, დრამატული და სატელევიზიო დადგმა.

18 ნოემბერს თემურ ჩხეიძის დაბადების დღიდან მარჯანიშვილის თეატრში რეჟისორის მიერ დადგმული სპექტაკლები იქნება წარმოდგენილი. ამ დღეს მაყურებელი „გრონჰოლმის მეთოდს“ ნახავს, 20 ნოემბერს „თარგმანები“ გათამაშდება, 25 ნოემბერს „არტ ხელოვნება“ იქნება წარმოდგენილი, 21 ნოემბერს – „სასიყვარულო ბარათები“, ხოლო 22 ნოემბერს მაყურებელი სპექტაკლ „ბრმა მხედველს“ დაესწრება.

ანსამბლ „რუსთავს“ 8 წლის იაპონელმა თაყვანისმცემელმა წერილი მისწერა



ცეკვისა და სიმღერის ანსამბლი „რუსთავი“ დაარსებიდან 50 წლის იუბილეს მსოფლიოს გარშემო საკონცერტო ტურნეთი აღნიშნავს.

ამჟამად ანსამბლი იაპონიაში იმყოფება, სადაც სხვადასხვა ქალაქში კონცერტებს მართავს.

ანსამბლის კონცერტს ნაგასაკიში 8 წლის ჰირომასა ტაკაგი დაესწრო. ქართული ცეკვითა და სიმღერით აღფრთოვანებულმა პატარა მაყურებელმა „რუსთავს“ ასეთი წერილი მისწერა:

– დიდი მადლობა იმისთვის, რომ შესანიშნავი სიმღერები და ცეკვები გვაჩვენეთ. მე აღფრთოვანებული ვარ! კიდევ ერთხელ მობრძანდით ნაგასაკიში. ღვინისა და წეროს ორიგამს გაჩუქებთ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

მაყვალა ხარებავას გახსენება

40 დღე სრულდება 17 ნოემბერს. სევდითა და გულისტკივილით გაჯერებული დღეები – ვერ ვეგუებით უშენობას. შენს სურათებს შევცქერით, შენს ალალ ღიმილს და კეთილ გამოხედვას. უკვე მივხვდით, რომ ვერაფერი შეავსებს უშენობით გამოწვეულ სიცარიელეს.

შენი ნაცნობები ხშირად აკითხავენ შენს მაღაზიას „ელიავას ბაზრობაზე“ და თვალცრემლიანი ტოვებენ იქაურობას.

ყოველთვის შენი ოჯახის სიკეთისთვის იღვწოდი, რომ შენს შვილებსა და შვილიშვილებს არაფერი დაჰკლებოდათ ცხოვრებაში.

არ მოისვენებდი, როცა რაიმე დაგვჭირდებოდა ოჯახისთვის, სანამ ყველაფერს არ მოაგვარებდი.

შენს ავადმყოფობას შევებრძოლეთ 2 თვის განმავლობაში, მაგრამ ვერაფერი მოვახერხეთ, მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკური საავადმყოფოს საუკეთესო სპეციალისტები იყვნენ ჩართულნი შენს მკურნალობაში.

მაღალმა ღმერთმა ნათელში გვიმყოფოს შენი სული!

მეუღლე მურად ლატარია,
შვილები გიგა და ირაკლი ლატარიები ოჯახებითა და შვილებით

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ილუზიონისტი სახიფათო ილეთის შესრულებისას სიკვდილს გადაარჩინეს



ესპანელმა ილუზიონისტმა რთული ილეთის შესრულების დროს წყალქვეშ მყოფმა გონება დაკარგა.

ილუზიონისტი პედრო ვოლტი შეკრეს და წყლით სავსე მინის დიდ ჭურჭელში ჩაკეტეს, რომელიც მადრიდის ქუჩაში იყო დადგმული. იქიდან თავის დასაღწევად მას დამოუკიდებლად უნდა გაეხადა დამამშვიდებელი პერანგი, რომელიც მის მოძრაობას ბოჭავდა.

ესპანელი ორ წუთი ცდილობდა თავის გათავისუფლებას, შემდეგ კი გონება დაკარგა. როდესაც მან მოძრაობა შეწყვიტა, მისი თანაშემწე და გამოსვლის ორგანიზატორები მინის ჭურჭელთან მიიჭრნენ, მამაკაცი წყლიდან ამოიყვანეს და სასწრაფო დახმარება გამოიძახეს. როდესაც ექიმები ადგილზე მივიდნენ, ის გონს მოვიდა. ამის მიუხედავად, გამოკვლევის ჩასატარებლად პედრო საავადმყოფოში მაინც გადაიყვანეს.

ვოლტის განმარტებით, მას ქამრის ბალთასთან დაკავშირებით, რომლითაც ხელები ჰქონდა შეკრული, პრობლემა შეექმნა. მისი თქმით, ის მას ჩვეულებრივზე დიდხანს არ დაემორჩილა. მართალია, საბოლოოდ მან მისი გახსნა შეძლო, მაგრამ, იმის გამო, რომ მეტისმეტად დიდი ენერგია და ჟანგბადი დახარჯა, გონება დაკარგა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

16 ნოემბრისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.7045	ევრო — 3.0474
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4931	100 რუსული რუბლი — 3.9893

ამინდის პროგნოზი 16 ნოემბრისთვის

აგნეშკა რადვანსკამ საჩოგბურთო კარიერა დაასრულა

პოლონელმა ჩოგბურთელმა ქალმა აგნეშკა რადვანსკამ საჩოგბურთო კარიერა დაასრულა და ამის შესახებ სოციალურ ქსელში დაწერა.

რადვანსკას თქმით, მას სხეული აღარ აძლევს საშუალებას, მაღალ დონეზე ითამაშოს.

– მინდოდა, კიდევ რამდენიმე წელიწადი მეთამაშა, მაგრამ ტრავმებმა ამის საშუალება არ მომცა. მადლობელი ვარ ყველა იმ ადამიანის, რომლებიც კარიერის განმავლობაში ჩემ გვერდით იყვნენ, – განაცხადა რადვანსკამ.

აგნეშკამ კარიერის განმავლობაში 20-ზე მეტი ტიტული მოიგო და ერთი პერიოდი მსოფლიოს მე-2 ჩოგანი იყო.

აზარი რეალში გადასვლას არ აპირებს

ლონდონის ჩელსის ბელგიელმა ნახევარმცველმა ედენ აზარმა განაცხადა, რომ ჩელსიში ის ბედნიერია და არსად წასვლას არ აპირებს.

აზარმა აღნიშნა, რომ მაურისიო სარის მოსვლის შემდეგ ჩელსიმ შემტევი ფეხბურთის თამაში დაიწყო და ის თამაშისგან სიამოვნებას იღებს:

– მინდა, ჩელსის გულშემატკივარს ვუთხრა, რომ არსად წასვლას არ ვაპირებ და მინდა, რომ ჩელსიში კიდევ ბევრი ტიტული მოვიგო. წელს ძალიან კომბინაციურ და შემტევ ფეხბურთს ვთამაშობთ, რაც სასიამოვნოა.

ლივერპულს დემბელეს შეძენა სურს

ლივერპული ბარსელონის ახალგაზრდა ფრანგი ფეხბურთელის უსმან დემბელეს შეძენით დაინტერესდა.

ლივერპული მზად არის, ამ ტრანსფერში 85 მილიონი ევრო გადაიხადოს, თუმცა ბარსელონა, სავარაუდოდ, არ დათანხმდება ამ წინადადებას, რადგან კატალონიურმა გუნდმა დემბელეში თავის დროზე 105 მილიონი გადაიხადა.

ბოლო პერიოდში დემბელეს ბარსელონის ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა დაეძაბა, რადგან მან რამდენჯერმე დააგვიანა ვარჯიშებზე, რის გამოც ის ბეტისის წინააღმდეგ შეხვედრაში განაცხადშიც არ იყო.

სიმეონე ატლეტიკოსთან კონტრაქტს გაახანგრძლივებს

მადრიდის ატლეტიკოს მთავარი მწვრთნელი დიეგო სიმეონე, სავარაუდოდ, გუნდთან კონტრაქტს გაახანგრძლივებს, რადგან ატლეტიკო მას ძალიან დიდ ანაზღაურებას სთავაზობს.

ახალი კონტრაქტის მიხედვით, სიმეონეს ხელფასი ატლეტიკოში 20 მილიონ ევრომდე იქნება, რაც სიმეონეს ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე მაღალანაზღაურებად მწვრთნელად აქცევს.

დიეგო სიმეონე ატლეტიკოში 2012 წლიდან მუშაობს და მასთან ერთად ატლეტიკომ ბევრ წარმატებას მიაღწია, 2014 წელს კი მადრიდელებმა ესპანეთის ჩემპიონატიც მოიგეს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჩვენს საყვარელ

ზურა ბერიძეს

ვულოცავთ დაბადების დღეს!

ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, წარმატებებს და წინსვლას, ბევრ სიყვარულს, დიდ ბედნიერებას ოჯახთან და ახლობლებთან ერთად!

უფალი გფარავდეს!

სიყვარულით, „ახალი თაობა"

იუმორი

შვილი მამას ეკითხება:
– მამიკო, რატომ არის, რომ ჩვენ შემწვარ კარტოფილს ვჭამთ, ხოლო ჩვენი მეზობლები გამუდმებით მწვადებს წვავენ?
– იმიტომ, შვილო, რომ ისინი ზარმაცები არიან, არ უნდათ კარტოფილის დათესვა, მისი გათოხნა და მოვლა.

•••

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:
– იცი, ერთი კვირის წინ წიგნი ვიყიდე, „საწამლავები"...
– მერე?
– მას შემდეგ ჩემი ქმარი ჭურჭელსაც რეცხავს, ნაგავიც გააქვს და აბსოლუტურად ყველაფერში მეთანხმება.

•••

ბავშვი დედას ეკითხება:
– დედიკო, სად მიგაქვთ ეგ მურაბები?
– სარდაფში შესანახად, რომ მერე ზამთარში ვჭამოთ.
– კი მაგრამ, ზამთარი ხომ უკვე იყო?

•••

ერთი მეზობელი მეორეს ეკითხება:
– შენი ახალი რძალი კარგი დიასახლისია?
– აბა, როგორ გითხრა... კვერცხებს კონსერვის გასახსნელით ხსნის.

•••

მასწავლებელი მოსწავლეს ეუბნება:
– მიხო, ხვალ სკოლაში მშობლების გარეშე არ მოხვიდე!
– და ზეგ?

•••

მამაკაცი ადვოკატს ეკითხება:
– ბატონო ადვოკატო, რა ღირს თქვენი მომსახურება?
– ორი შეკითხვა 100 დოლარი. თქვენი მეორე შეკითხვა?

•••

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეკითხება:
– რავა ხართ აფრასიონ, რავა?
– რაფრაც გაგეხარდება!
– რავა, ამოწყდით თუ?

•••

პაციენტმა ექიმს ანალიზის პასუხები მიუტანა. ექიმი მცირე ხნის შემდეგ ეკითხება:
– რამდენი წლის ხართ?
– ორ თვეში ორმოცი წლის გავხდები.
– ჩემ ფეხებს გახდები!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

BOAI

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

– გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
– ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
– კანის დაავადებები
– უროლოგია
– გინეკოლოგია

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

TRADE MARK
安神補心丸
ANSHEN BUXIN WAN
300PILLS

ანშენი ბუსინ ვან

უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა

TRADE MARK
XIAO HUO LUO DAN
香港中成藥注冊編號: HKP-01423
200 PILLS

სიაო ჰუო ლუო დან

რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

შორენა ბეგაშვილი რადიოწამყვანი გახდა

მსახიობი შორენა ბეგაშვილი რადიოწამყვანი გახდა. მან მუშაობა რადიო „იმედში" დაიწყო და საავტორო გადაცემა მიჰყავს. გადაცემას „17:17 შორენა ბეგაშვილთან ერთად" ეწოდება და მასში ავტორი მიწვეულ სტუმრებთან ერთად სხვადასხვა თემაზე საუბრობს.

შორენამ სტუმრად მომღერალი გიორგი სუხიტაშვილი მიიწვია და მასთან ერთად სიყვარულზე ისაუბრა.

რამდენ ხანს ცოცხლობს სიყვარული? ვის დავუჯეროთ – გულს თუ მეცნიერებს? – ეს იყო თემები, რომლებიც შორენა ბეგაშვილს ყველაზე მეტად აინტერესებდა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ქალმა განქორწინება საქორწინო კაბის აფეთქებით იზეიმა

ამერიკის ტეხასის შტატის მცხოვრებმა კიმბერლი სანტლბენ-სტიტელმა განქორწინება წვეულების მოწყობით აღნიშნა, რომელიც საქორწინო კაბის აფეთქებით დასრულდა.

თავდაპირველად 43 წლის ქალი კაბის დაწვას აპირებდა, რომელიც მას 14 წლის წინ ქორწილის დღეს ეცვა.

– მეგობრები და ნათესავები სხვადასხვა რჩევას მაძლევდნენ, თუ როგორ მოვპყრობოდი საქორწინო კაბას: ბავშვებისთვის საფენების დასამზადებლად მიმეცა ან ეკლესიისთვის შემეწირა. მაგრამ ჩემთვის ის სიცრუეს უკავშირდებოდა. მსურდა, განქორწინების აღსანიშნავად წვეულება მომეწყო და კაბა დამეწვა, – განმარტა სანტლბენ-სტიტელმა.

მამამ და ნახევარძმამ ქალს უფრო სანახაობრივი ვარიანტი შესთავაზეს. მათ კაბა ცხრა კილოგრამი ტანერიტით (ფეთქებადი ნივთიერება, რომელიც სახანძრო სწავლებებისა და ბურღვითი სამუშაოების დროს გამოიყენება) გაავსეს. წვეულების ბოლოს ქალმა კაბას სნაიპერის შაშხანიდან ესროლა.

– თავი თავისუფლად ვიგრძენი, როდესაც ჩახმახს თითი გამოვკარი, – აღიარა სანტლბენ-სტიტელმა.

მისი და კი ირწმუნება, რომ აფეთქების ხმა მისი ეპიცენტრიდან 24 კილომეტრის რადიუსში ისმოდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. კარატისტთა ოსტატობის ხარისხის მაჩვენებელი; 2. აგატა კრისტის ნაწარმოების პერსონაჟი, დეტექტივი; 3. ქართველ სუმოისტ გორგოძის საპატიო ტიტული; 5. სვან მამაკაცთა ცეკვა; 6. მოძღვრება რელიგიის შესახებ; 9. წყალბადის იზოტოპი „მძიმე წყალი"; 10. ამერიკელი ბალეტის ფუძემდებელი ქართველი ბალეტმეისტერი; 11. ჩინურ-იაპონური დამწერლობის გრაფიკული ნიშანი; 14. აფრიკული ანტილოპა; 16. მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო ფესტივალი საქართველოში; 18. აუქციონ „კრისტის" მფლობელი.

თარაზულად: 1. უკრაინის ფეხბურთელთა გუნდი; 4. მრავალსართულიანი კარსტული მღვიმე ტყიბულის მახლობლად; 7. ქართული მინერალური წყალი; 8. სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი ფირმა საქართველოში; 12. მიქელანჯელოს ქანდაკება; 13. აპრილის თვის ქართული სახელწოდება; 17. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 19. სისხლის თეთრი ბურთულაკები; 20. ბრიტანული არაყი; 21. „ფორმულა-1"-ში მონაწილე ფინელი ავტომრბოლელი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა